140
1969

JAMGJZA

2

1969

ᲚᲘᲢᲦᲔᲚᲐ

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲗᲘᲠ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲝᲚᲮᲘᲡ — ᲒᲝᲜᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲠᲛᲘᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲠᲘᲡ — ᲐᲠᲘᲜᲓᲘᲙᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲝᲕᲘᲡ. ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲘ — ᲒᲝᲚᲚᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲐ ᲒᲘ. Ა. ᲞᲔᲢᲠᲘᲫᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲚᲔ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲕᲐᲠᲪᲘᲡᲮᲘ

3 · ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ · 1969

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘᲡ

ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲗᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲓᲒᲔᲠ, ᲛᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝᲓᲐ.
ᲐᲮᲚᲐ ᲗᲐᲛᲝᲜᲘᲐ.
ᲕᲘᲪᲘ, ᲘᲥᲔᲪ ᲗᲝᲕᲚᲘ ᲓᲐᲗᲣᲠᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲗᲕᲘᲡ.
ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲜᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲥᲛᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲜᲐᲮᲐ ᲘᲛ ᲛᲮᲘᲐᲜ ᲓᲦᲔᲖᲔ ᲕᲔᲠᲘᲥᲐ.
ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲥᲔᲜ ᲓᲐᲫᲠᲔᲚᲘ ᲠᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲔᲠᲗᲘ.

ᲬᲐᲡᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

10.9.56.

ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲔᲯᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲦᲔᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

■

იყო პოეტი.

სულ ახალგაზრდა ჩანდა, ოციოდე წლისა ძლივს იქნებოდა.

ტოლებში თითქოს არც არაფრით გამოირჩეოდა: ხან ბურთს თამაშობდა ხან დოღის ცხენებს უყურებდა, ხან ქალაქის ბაღში პარაშუტით ხტებოდა. გამორჩევას მარტო იმით თუ შეატყობდით, რომ შინ საიდანაც არ უნდა დაბრუნებულიყო, ხელში სულ წიგნები ეჭირა. ზოგჯერ განმარტოვდებოდა: ან დილაადრიანად ქალაქგარეთ გასწევდა და ტყე-ღრეში ხეტიალობდა, ან ძველი სახლის ჩარდახში ავიდოდა, ვიწრო სარკმელთან ჩამოჯდებოდა და წერდა და წერდა.

ამ დროს იმის ყურებთან ზარბაზანი რომ დაგეცალათ, ვერ გაიგებდა.

დიდედას იმის წერისა არა სჯეროდა.

დედა ამხნევებდა, მაგრამ გულში ემდუროდა.

მამა ამბობდა, დაიცათ, ისეთი ბიჭი დადგება, მთელი საქართველო გაიცნობსო.

მართლაც, ყველას უბრალო ბიჭი ეგონა, ერთ დღეს კი ისეთი მარგალიტებივით ლექსები გამოამზეურა, მთელი უბნის გოგო-ბიჭები შორიდან მორიდებით უცქერდნენ და ახლო მისვლა ვეღარ გაებედნათ.

მაინც უბრალო ბიჭი იყო და ყველას უბრალოდ უღიმოდა.

გალაკტიონ ტაბიძემ ხელი ჩამოართვა.

გიორგი ლეონიძემ შუბლი დაუკოცნა.

დიდედაც მოკრძალებით აივსო და ესღა თქვა, აბა მე რა ვიცოდი, თუ ეს ტანმორჩილი, შავგვრემანი ბიჭი ეგეთ ლექსებს იგონებდაო.

■

იყო მჭედელი.

არ ვიცი, მჭედელს რატომ ეძახდნენ, იმ ქარხანაში მუშაობდა, სადაც დიდ ორთქლმავლებს აკეთებდნენ.

შეიძლება იმ ქარხანაში ჭედდა რამეს და მჭედელიც იმიტომ შეარქვეს.

მაღალი კაცი იყო, ღონიერი.

როცა არაფერს აკეთებდა, მაშინაც კი გეგონებოდა, ხელში დიდი ურო უჭირავს და ღონიერი კუნთებით გრდემლსა სცემსო.

რომ მოეწადინა, ათ კაცს ერთად მოერეოდა.

მაგრამ, როგორც ყველა ვაჟკაცს, ჩხუბი სძულდა და ჩხუბი კი არა, იმისაგან ერთ ხმამაღალ სიტყვას ვერ გაიგებდით.

ცოლ-შვილიც ისეთი წყნარი ჰყავდა, როგორიც თვითონ იყო.

დილით ახმაურდებოდა ქარხნის საყვირი და მჭედელი წყნარად გაუდგებოდა გზას.

საღამოსაც აქოთქოთდებოდა საყვირი და ათიოდე წუთის მერე მჭედელიც დაბარებულივით გამოჩნდებოდა.

მერე ერთ დღეს გაზეთში გამოაჩინეს.

ყველას უბრალო მჭედელი ჰგონებია, ის კი თურმე დიდ ორთქლმავლებს აგებდა და დიდ ქარხანაში თითით საჩვენებლად ჰყოლიათ.

■

მერე დამთავრდა „უბრალო“ ცხოვრება. დაიწყო ომი და ჩვენი ქვეყნისაკენ გერმანელ ფაშისტთა ურდოები დაიძრნენ. ადამიანები გაფაციცებით უსმენდნენ რადიოს. ჩვენი ჯარები უკან იხევდნენ და ზედიზედ კტოკებდით ქალაქებსა და სოფლებს. მტერმა გადმოლახა რუსეთის ვრცელი ველები, მიადგა მოსკოვს, წამოვიდა ვოლგამდე, მოვიდა კავკასიონთან; მაშინ ასეთი არ იყო თბილისი. არც ამგვარი სოფლები გვქონდა. ქალაქს უჭირდა. ღამღამობით ქუჩები სიბნელეში იყო გახვეული. სახლებში ნავთის ლამპა ბჟუტავდა და იმის სინათლესაც შავი ფარდებით ვმალავდით. ღამით კი ჩვენი ქალაქებისა და სოფლების თავზე დაძრწოდნენ გერმანელთა თვითმფრინავები.

მტერი კავკასიონთან იდგა.

ქედი რომ გადმოელახა, ის დღე დაგვიდგებოდა, რა დღეც დაადგა ასობით ქალაქსა და სოფელს, დასავლეთის საზღვრიდან კავკასიონამდე.

მთელ ამ დიდ ფრონტზე ქვეყნის სხვა შვილებთან ერთად იბრძოდნენ ქართველებიც.

ის გუთნისდედა უხმოდ გამოვიდა სახნავიდან, დაემშვიდობა ოჯახს, გადაკოცნა და-ძმები, გაეხუმრა აცრემლებულ დედას, ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა და ომის გზას გაუდგა.

ის პოეტიც ომის პირველი დღეების მერე აღარ უნახავთ თავისუბნელებს. მხიარულად წავიდა. რაც რამ ლექსები ჰქონდა, მეგობარ პოეტებს დაუტოვა. მაგრამ მეგობარი პოეტები იმის ლექსებს როგორღა მოუვლიდნენ, თავადაც ფრონტზე წავიდნენ. ჯერ იყო და მხნე წერილებს იწერებოდა. წერილს უთუოდ ლექსსაც მოაყოლებდა. ის ლექსები ჟურნალ-გაზეთებშიც გამოჩნდებოდა ხოლმე. მერე ლექსები მიწყდა და პოეტის ხმაც ვეღარავინ გაიგო.

ის კაცი, ყველას რომ მჭედელი ეგონა და თურმე დიდ ორთქლმავლებს აკეთებდა, შინ ცოტახანს-ღა მოტრიალდა. ქვეყანას ორთქლმავლები სჭირდებოდა, მაგრამ კაცმა თავისი გაიტანა. ცოლ-შვილისათვის არა უთქვამს რა, თავისით გაუდგა ომის გზას და გერმანელებს სწორედ კავკასიონთან დახვდა.

ლაშქრის ერთი ნაწილი, მტრის დასახვედრად, სოხუმიდან მდინარე კოდორის ხეობით მარუხის უღელტეხილისაკენ დაიძრა. ის პოეტიც ამ ლაშქარში იყო, ის გუთნისდედაც და ის მჭედელიც. სხვა ლაშქარი ქლუხორის უღელტეხილთან ჩაუსაფრდა მომხდურებს. იქ, კავკასიონის მთებში, ქართველების გარდა, ხეობებსა და ქედებს იცავდნენ რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, სომხები, უზბეკები, ტაჯიკები... უბრალო ფარაჯიანი ჯარისკაცები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან...

1942 წლის აგვისტო იყო.

მთაში ზამთარი ადრე დგება.

მარუხის, სანჭაროს და ქლუხორის უღელტეხილები ხომ მყინვარების სამეფოა და ამ მყინვარეთში დაუხვდნენ მტერს ჯარისკაცები.

ბრძოლა უთანასწორო გამოდგა.

კბილებამდე შეიარაღებული, ყაჩაღური თავდასხმისათვის ადრევე გამზადებული მტერი და ჩვენი მშვიდობიანი ჯარისკაცები — გუშინდელი მწყემსები, მევენახეები, მუშები...

თეთრ მყინვარებში იღვრებოდა გმირთა სისხლი.

ზანზარებდნენ მთები.

ღმუოდნენ თვითმფრინავები.

ცოფდებოდნენ მდინარეები.

ცეცხლში დნებოდნენ ქედები.

ამ სისხლისა და ცეცხლის წვიმაში შედრკნენ ფაშისტი ურდოები კავკასიონთან. ვერ გადმოლახეს ქედი, ვერ გადმოიღინენ ბარში.

იქ, მკაცრ მყინვარებში, გმირულად დაეცნენ ის გუთნისდედაც, ის პოეტიც და ის მჭედელიც. მერე მათზე

ლექსები დაიწერა. ხალხი მღეროდა სიმღერებს. პოეტი ისე მოკვდა, რომ თავისი წიგნიც არ უნახავს. სიკვდილის მერე მკერდთან უპოვეს ახლობლების სურათი და ლექსების პატარა რვეული. გუთნისდედამ სიკვდილის წინ მთის ცივი წყაროს წყალი მოითხოვა. ხარბად დალია, როგორც სვამდა ხოლმე მკათათვის ცხელ დღეებში, მუხის ჩრდილში მიწოლილი, დაღლილ-დაქანცული. მერე სიზმარ-ცხადში წავიდა და აღარც მობრუნებულა. მჭედელმა მეგობარ ჯარისკაცს უხმო, დიდხანს ელაპარაკა და ცოლ-შვილთან დანაბარები გამოატანა. მერე ის ჯარისკაციც მტრის ტყვიით დაეცა და ველარავინ გაიგო რა დააბარა სიკვდილის წინ უთქმელმა მჭედელმა...

პოეტმა თქვა: დაცემულები მოგვიწოდებენ მკერდით შევკრათ კავკასიონიო.

■

დაეცნენ. ერთი და ორი კი არა, ათასობით გუთნისდედა, მჭედელი და პოეტი. მათ მკერდით შეკრეს კავკასიონი და საქართველო გადაარჩინეს.

კავკასიონის დამცველებს მიეძღვნა ჩერქეზეთში აღმართული ძეგლი-მონუმენტი.

სწორედ ძეგლისკენ მოდიოდნენ შემოდგომის იმ მზიან დღეს ადამიანები. მოდიოდნენ მანქანებით, თვითმფრინავებით, ცხენებით... და უფრო მეტად ფეხით — მამა-პაპურად. ზოგს მკერდზე გმირის ორდენები და მედლები დაებნია, ზოგს ალისფერი ყელსახვევი უფრიალებდა, ზოგს უხვად წამოეღო მთისა და ველის ლამაზი ყვავილები. ზღვა ხალხი ერთი ნებითა და აზრით შეკრულიყო, ერთ ზღვად გარინდულიყო და ერთ ფიქრს მისცემოდა.

რას ფიქრობდა ხალხი? ვისზე ფიქრობდა იმ ზღვასავით მღელვარე და ზღვასავით მშვიდ დღეს?

ისევ იმ გუთნისდედაზე.

ისევ იმ პოეტზე.

ისევ იმ მჭედელზე.

ვისთვის ითქმოდა იმდენი სიტყვა? ვის სადიდებლად ქუხდნენ ზარბაზნები? ვისი სახელის სამარადისოდ ენთებოდა ცეცხლი მარადიული?

იმ გუთნისდედის, პოეტის და მჭედლისა.

■

მერე, აკი გითხარი, ჩემო მეგობარო, ხალხი წავიდწამოვიდა და იქაურობა მდუმარებამ მოიცვა-მეთქი. დღე იყო მზიანი. გარშემო იდგნენ ცამდე აწვდილი ხვიადი და ლამაზი მთები. მთიდან მოჩქეფდა მდინარე... ქედებზე ზანტად მიდი-მოდიოდნენ ღრუბლის თეთრი ქულები.

და მეც, იმ ზღვა ხალხის ერთი მონაწილე, კავკასიონთან დაცემულ მამა-პაპაზე ვფიქრობდი.

ამ მთების იქით საქართველოა.

და ის დაცემულნი ჩვენს სამშობლოს — საქართველოს იცავდნენ.

■

თუ ჩერქეზეთში ჩახვალ, იქაური ტოლები უთუოდ წაგიყვანენ კავკასიონის დამცველთა ძეგლის სანახავად. წადი და შენი სპეტაკი ფიქრით პატივი ეცი გმირ მამა-პაპას.

შეჩერდი, გახსოვდეს:

ოცდახუთი წლის წინათ აქ იბრძოდნენ ისინი.

ამ მთებზე დაღვარეს საკუთარი სისხლი და სამშობლოს შესწირეს ყველაზე ძვირფასი — სიცოცხლე. ისინი უყოყმანოდ დაეცნენ შენი ბედნიერებისათვის.

ძეგლი-მონუმენტი (დეტალი)

მიიხედ-მოიხედე:

ეს მათი დიდების სამარადისო ძეგლია.

იგი ჩვენმა თანამემამულეებმა, ქართველმა არქიტექტორებმა ჩაიფიქრეს.

ქედზე დგას „საცეცხლე წერტილი“, რომელიც მრისხანედ ელის მომხდურს. ქედის ბოლოშიც მრისხანე „საცეცხლე წერტილია“. მთელ ფერდობსა და გზაზე გაფანტული ბარიერები გზას უღობავენ ურდოებს. აქ ვერაფინ გაიჭაჭანებს, ვისაც დაცემულნი არ ედარდება და ვისი არ უძგერს სამშობლოს სიყვარულით.

ძეგლი-მონუმენტი წმინდა ადამიანებზე მოგვითხრობს.

ძეგლი-რექვიემი გმირებს უმღერის.

უმღერის მკაცრ, მართალ, ვაჟკაცურ სიმღერას. ამ სიმღერაში თითქოს მდინარეებად ერთდება ყველა სხვა სიმღერა, რაც კი ჭირთა თმენასა და მომხდურ მტერთან ბრძოლაში ქართველ ხალხს შეუქმნია. გამოკრთის დარბაისლური „მრავალჟამიერი“ ჩვენი ერის უკვდავებასა და მარადიულობაზე; ელვარე „ლილეო“ — მზისა და სინათლის სადიდებელი; სიმღერა შავ, გაფრენილ მერცხალზე და ომში წასულ ჭაბუკზე, რომელსაც ჰყავდა კარგი ცხენი და ერთგული მეგობარი.

როცა ჩერქეზეთში ჩახვალ, შენ გაიგონებ ამ სიმღერას და იგი ფიქრივით გამოგყვება კავკასიონის ვაჟკაცურ ქედებზე, წვრილ ბილიკებზე და ჩხრიალა მდინარეებზე, რომლებიც ქვევით, სულ ქვევით, საქართველოსკენ მოიჩქარიან.

სილაჯე

გიორგი სანდირაძე

ილუსტრაცია ბ.ეორგაძეისა.

მოთხრობა

გოგონა მეთევზეთა დაბაში ბოლოს, გორაკზე, მაგნოლიის ხესა და შუქურის შორის იდგა. პატარა იყო, ლოყებჩაჩხვლეტილი და კოკისნინი. გოგონა ცაში მოფრიალეულ მერცხლებს უყურებდა. შემოდგომის უკვე შეეკითლებულ ბალახთან შეთამაშებულ ნიავს უსმენდა. მთელი გულისყური კი რკინიგზისაკენ ჰქონდა, ცოტაც და, დილის მატარებელს უნდა ჩამოვედო.

მატარებლები უყვარდა.

მაგრამ ეს იყო — მთელი დღის ბანძადაწე მხოლოდ ორჯერ ჩამოვიდოდა მატარებელი: დილით — დიდი ქალაქიდან და, ღამე, გვიან, რიცა პატარა გოგონას ეძინა — დიდი ქალაქისაკენ. ბაბუა იასონი ამ მატარებელს „საფოსტოს" ეძახდა.

გოგონა მეისრის ჯიხურთან ხვდებოდა დიდი ქალაქიდან მომავალ მატარებელს. ეს იყო ახალგაათენებულზე, როცა ბოდაზში ჩამოწოლილი ნისლი ნელა აკრიფებოდა და ღამის თრთვილისაგან თეთრად პრიალებდა მეთევზეთა სახლების სახურავები. გოგონა თავს გადაკენკნეცდა, კიკინებს გაიხურებდა, ფეხისწვერებზე შედგებოდა—უფრო მაღალი გამოვჩნდეო, და გაბარბენელი, თვალებგაბრწყინებული ხელს უქნევდა მგზავრებს. მგზავრებიც, შეიარსნმეზობლებივით, მიაწყდებოდნენ სარკმლებს; მინას ჩაჰწევდნენ, თავს გადმოაყოფდნენ და...

ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობდა პატარა გოგონასათვის, რომელსაც მთელ დაბაში ყველაზე უცნაური სახელი — ანზა ერქვა.

იმ წელიწადს, როცა ანზა სკოლაში შევიდა, ომიც დაიწყო. მთელი დაბა დაცარიელდა. მამა, სხვა მეთევზეებთან ერთად, სწორედ მაშინ წავიდა შინიდან, როცა გოგონას ეძინა.

სკოლა არ იყო შორს, მაგრამ, ვიდრე სკოლაში მივიდოდა, ჯერ რკინიგზა უნდა გადაეკვეთა. გოგონა ყოველთვის მეისრის ჯიხურთან ხვდებოდა მატარებელს. რაც ომი დაიწყო, მატარებლიდან ბუნათად თუ გამოეხმაურებოდა ვინმე. მერე და მერე კი მთელი შემოდგენლობა ისე ჩაიარა,ხმებები, სარკმლებშიც არავინ გამოხმედადგა.

ამან საშინლად დაადარდა გოგონა.

იგი ისეთი პატარა და სასაცილო იყო! დიდი, წყლიანი თვალები და გრძელი წამწამები ჰქონდა. ბიჭებმა „თოჯინა" შეარქვეს და არა სწყინდა. ის კი სწყინდა, გაბარბენელი, თვალგაბრწყინებული რომ ხვდებოდა მატარებელს და მგზავრებიდან არავინ დაუქნევდა ხელს, არავინ გამოეცარაკაკენდა.

დადარდიანდა. დიდი თვალები ადარ უცინოდა წინანდებურად. ლოყები გაუფერმკრთალდა. სკოლაშიაც ადარ სწავლობდა კარგად.

„რა მოუვიდათ, — ეუბნებოდა იგი ბაბუა იასონს, — რატომ ადარ მიქნევენ ხელს, რატომ არ დგანან სარკმელთან და ადარ იცინიან?!.

იასონი მძიმედ ამოიოხრებდა. მან იცოდა, რატომ ადარ უქნევდნენ გოგონას ხელს — ომი იყო, ყველას თავისი საფარფლები და საფიქრალი ჰქონდა. არავის ეცალა პატარა, გულუბრყვილო, მეოცესეზე გოგონასთვის, რომელსაც მთელ დაბაში, შესაძლოა, მთელ ქვეყანაზეც ყველაზე უცნაური სახელი ერქვა.

— რა მოუვიდა ჩვენს ცუბრუმელას? — იკითხა ერთხელ მოხუცმა მწერალმა. იგი მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა, — ხულ დაღვრემილი დადის. ავად ხომ არ არის? იქნებ ექიმთან წავიყვანოთ?

— ო, არა, არა, — თავი გაიქნია იასონმა, — ხულ იმ მატარებლის ბრალია, თქვენი ჭირიმე.

— მატარებლისა?! — გაუკვირდა მწერალს.

— დიახ, მატარებლისა. როცა სკოლაში მიდის, რკინიგზის ბაჭანთან რამდენიმე წუთით შეიცდის ხოლმე — ამდროს მატარებელმა უნდა ჩამოიაროს და ისიც მის გამოჩენას ელის. ელის და ჯერ კიდევ შორიდან მოპაჯალს უქნევს ხელს. მაგრამ მგზავრებიდან არავინ გამოეპასუხება და ეს ადარდებს. არ ვიცი, რა წყალს მიეცეს თავი. არც გაკვეთილებს უფიქს გულს. ძალით გაკვეკან ხოლმე ეზოში — იქნებ ბავშვებთან ითამაშოს-მეთქი, მარა. გაგიგონია? ზის მოწუენილი და, მე მგონი, ჩუფჩუმად ტირის კიდეც.

მოხუცი მწერალი იასონის ხელებს უყურებდა.

იასონს ხელები უთრთოდა.

— ჩვენი გოგონა ძალიან მგრძნობიარე ყოფილა, — თქვა მწერალმა.

— თუ ასე გასტანა, დაგვეღუპება, — თქვა იასონმა, თავი ჩაქინდრა და სანაპიროსაკენ გასწია.

მეორე დღეს პატარა გოგონამ ბტუნვა-ბტუნვით და სიცილ-კისკისით მოირბინა სკოლიდან.

— ბაბუ! — დაიძახა მან შორიდან, — ბაბუ! დღეს მთელი მატარებელი მიქნევდა ხელს... მთელი მატარებელი!..

მოხუცმა მეთევზემ გაოცებით შეხედა გოგონას. გოგონას თვალები ანცამიმებოდა, ლოყები ახწითლებოდა, წამწამებსაც ეშმაკურად ახამხამებდა და ალიგს თქვამდა ხულს.

— კი, ბაბუ, — განაგრძო გოგონამ, — როცა დამინახეს, ერთიმეორეზე მიყოლებით გაიღო სარკმლები და ხელი დამიქნიეს... რა კარგია!

ახე იყო მეორე დღესაც, მესამე დღესაც... ახე იყო დიდხანს, ოღონდ, მოპირდაპირე სახლში მცხოვრებ მწერალს ამის გამო შეაღამისას უხდებოდა ადგომა. მწერალი უჩუმრად, ლანდივით გაიპარებოდა ხოლმე ბაჭნისაკენ. მას არ ეზარებოდა ეს, რადგან ნამდვილი მწერალი იყო. დაკიდეე, იცით, რატომ? იმიტომ, რომ მას კეთილი და მოსიყვარულე გული ჰქონდა.



თეზკრავალი გაუმარჯოს ბიბლიოთეკა

ნაზი კილასონია

თეზერავალში მე მესმის
ჭიხვინი ცხენების,
ისინი მიდიან
ქროლვით და ჭენებით.
თეზერავალში შრიალებს
ის დრმა წყითელი,
მთელი სიცოცხლე რომ
ღიმილით მიცქერის.
თეზერავალში დაკმარიან
ფრთალაღი ქარები,
მაგრამ მე ამ ქარებს
არ მიეფეარები—
გავალ და ვაყვავები,
მეც მაქციეს მინდვრებად,
სადაც ნიადგრები
იმღერეკენ, დიდდები,
სადაც ყინლები
იღვრება ცრემლებად,
და თავი ასწიეს
შიშველმა ტყემლებმა;
სად თოვლის ზენები
გაქექეს ყეკელმა,
აქამდე ხნელები
მხრებით რომ ეჭირა.
როგორ მიხარია,
როგორ მიხარია,
თეზერავლის ქარია,
ნამგალა მოვარეკ;
დროა, საძირველი
ჩაყარონ ჩიტებმა,
რადგან თეზერავალი
გაზაფხულს გვპირდება:
დროა, ფერადები
გაშალონ მინდვრებმა,
სად მეიანარეკენ
იმღერეკენ, დიდდები.
დროა და დრო არი—
ყვავილთა მთოვარი
მოდის, მოაბიუკებს
იმედი მომავლის;
მოდის, მოაბიუკებს,
მზეები მეზეკრა...
თეზერავალს გაუმარჯოს,
თეზერავალს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის ნაკვეთს ზამთრიდანვე სპირდება მზრუნველი ხელი.

აკვანიდან ბუკიდან ჭიანურამდე!

ახლა ზამთარია და გორაკებიდან ცივი ქარი ქრის.

ჩალისფრად გადახუნებულა იმერეთის ზურმუხტოვანი ველ-მინდვრები.

სიმწვანეს აქა-იქ მაინც ინახავს სერებს შეფენილი სოფელი ზედა საზანო.

ტინებზე სკუპ-სკუპით მოხტუნავს პატარა ძუსა.

ლამაზია იგი, დიდგულაც. გინახავთ როგორ აწყდება ქარაფოვან ნაპირებს გაზაფხულის წვიმებით გახელებული?

ნაპირ-ნაპირ ჩასაფრებულ ნარგავებსაც გაეთამაშებიან ხოლმე მაშინ მისი ამღვრეული ტალღები.

მაგრამ ნარგავებს თავიანთი მზრუნველები ჰყავთ; თოხმომარჯვებულნი ჩაუსაფრდებიან ისინი ადიდებულ ძუსას და კალაპოტშივე აბრუნებენ უმალვე.

ვინ იცის, რამდენი ხე, რამდენი ბუჩქია ამ ქოჩორა, ხელოვნურ ტყეში!

ნაწისქვილარსა და გოცურთან 60 ათასი ძირი კაკალი, ალვა, აკაცია, დაფნა და თუთა რომ ახარეს, მერე სათვალავი დაეკარგათ...

რვა-ცხრა წლის წინათ, თავიანთი სკოლის ორმოცი წლის იუბილეზე ჩაყარეს ზედასაზანოელმა მოსწავლეებმა აქ ისინი.

ჩაყარეს და ესტაფეტასავით გადასცეს მომდევნო თაობებს:

— მოუარეთ და ახარეთ დარგული, ამატეთ ახალ-ახალიო!..

და მოდის მას აქეთ ეს ესტაფეტა, ერთხელაც არ შეყოვნებულა. პირნათლად აბარებენ ერთნი, მორიდებით იბარებენ მეორენი — უმცროსები.

ამჟამადაც საიმედო ხელშია იგი. აბა ჰკითხეთ უფროსკლასელებს თენგიზ ჭანკვეტაძეს, ზურაბ ხამაშურიძეს, თამაზ თურქაძეს, ნაუმ ჩუბინიძეს როგორ ელოლიავებიან თუთებსა და დაფნებს უმცროსკლასელები, სწავლის მოწინავენი ლამარა გოგბერაშვილი, ნორა ჩუბინიძე, გულნარა ჭანტურიძე, რუსუდან რობაქიძე.

ათ წელზე მეტია ბავშვები დაპატრონებიან სოფლის შემოგარენს.

ვაგლახად ვერავინ ხელჰყოფს მდინარისა და ტყეების ბინადართ.

შექმნილია ბუნების დაცვის შტაბი და მწვანე საგუშაგოები.

ვინ იცის, მათ აიყოლიეს თუ თავათ აჰყვა მოზარდთა კარგ წამოწყებას ჭარმაგი დავით ვარდოსანიძე. მრავალნაცადი მასწავლებლის მხარდაჭერამ ბევრი რამ შეაძლებინა მოსწავლეებს.

მწირსა და ხრიოკს რა გამოლევსო ზედა საზანოში! — ასე უთქვამთ ძველად.

მონდომება, თორემ გამოულეველი რა არის!..

დავით მასწავლებელმა და მისმა „შეგირდებმა“ პირველად წერაქვებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსინჯეს ხრიოკი, მერე, იცოცხლეთ, გადაბარეს და გადახნეს კიდეც!

თვით გამოცდილ მეურნეებსაც ეეჭვებოდათ „ამაო შრომით“ გართულთა წარმატება.

მოსწავლეები კი, რაკი ერთხელ გატეხეს „ყამირი“, მომეტებული ძალით უხათქუნებდნენ წერაქვებს, მზისგულზე ამოჭქონდათ დასაბამიდან მიწაში ჩამარხული ლოდები, ასუფთავებდნენ ნიადაგს, რგავდნენ, თესავდნენ...

ბევრი შრომა დასჭირდა ამას. ძნელად ნებდებოდა ხრიოკი. ბოლოს მაინც მოიხარა ქედი. გადამწვანდა ნაწისქვილარი, გოცური.

გათამამდნენ მოსწავლეები, გამოცდილებაც გაუღრმავდათ. „ეშმაკი არც ისე საშიში ყოფილაო“, — ვიღაცამ ანდაზა გაიხსენა.

მერე საცდელ ნაკვეთზე გამოყვანილი 4.000 ძირი დაფნა, 10 ათასზე მეტი კაკალი, წაბლი, აკაცია ახლა უკვე „ჭანტურიძეების გორას“ შეუსიეს, ქვაღორღიანსა და უნაყოფოდ წოდებულს.

სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში ტანი აუყრიათ, დაზრდილან კაკლები, გუშაგებივით ჩამწკრივებულან გრძელ ხეივანში.

გაღმა-გამოღმა მინდვრები, საძოვრები, ყანები, ვენახებია, მათს იქით — გორგოლის ტყე.

ზოგიერთი ტყისმჭრელის წყალობით გაჩანაგებამდე იყო მისული ეს ტყე.

გაჩანაგდებოდა კიდეც, ნორჩი ენთუზიასტები რომ არ წამოშველებოდნენ.

ჯერ იყო და, ხმელი, ნაკაფი ტოტებისაგან გაწმინდეს, რითაც მავნე მწერების, სოკოვანი დაავადებების ბუდე მოსპეს, ხანძრის საშიშროება ააშორეს, მერე ახალი ნერგები ჩარგეს მეჩხერში.

ბუნების დაცვის შტაბმა ასე განავრცო თავისი უფლებები არა მარტო ხელოვნურ, არამედ ბუნებით ნაწყალობევ ამ ძვირფას სიმდიდრეზე.

საზანოელი მშრომელები აფასებენ თავიანთი შვილების ზრუნვას მშობლიური ბუნებისათვის, კეთილი ღიმილით ჩაუვლიან ძუსას პირას ბოძზე გაკრულ წარწერებს: „გაუფრთხილდით ნარგავებს!“ „იზარდე, მწვანე ხეივანო!“

კანტიკუნტად მაინც გამოჩნდებიან ნადირობის სურვილწაკიდებული, მხარზე თოფმოგდებული ახალგაზრდები გაღმა-გამოღმა სოფლებიდან.

უეცრად, ახირებული მონადირის წინ, თვალების ცეცებით ჭინკებივით გამოხტებიან პატარა გოგო-ბიჭები და, ისიც — „დავინავსეო!“ — გაივლებს გულში და ნირწამხდარი ბრუნდება შინ.

ზოგჯერ სახელდახელოდ ისადილებენ სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები, ბარ-ნიჩბებსა და ვედროებს წამოავლებენ ხელს, შუკებსა და ორღობეებს გადაძახილ-გადმოძახილით შეახმიანებენ, ათასობით ძირ მცენარეს შემოუბარავენ, გასხლავენ, შეწამლავენ, ახალდარგულებს ძუსას წყალს ჩაუღვრიან ძარღვებში.

კოლმეურნეებიც ბევრჯერ ამოსდგომიან მხარში გახვითქულ ყმაწვილებს. მერე ჩრდილში ჩამომსხდარან, „გოგოსაკლავასა“ და სკანდაზე ლეგენდებიც უთქვამთ, დასვენების მერე კიდევ ერთხელ „მიუტანიათ იერიში“ სამუშაოზე და, როცა დაშლილან, მთვარეც ამოცურებულა ჰორიზონტზე.

მოსწავლეებს განსაკუთრებით უყვართ სკანდის ციხე, პატივს სცემენ მის გმირულ წარსულს და ამ პატივისცემის გამოსახატავად გადაწყვიტეს სკოლის ეზოდან ციხის მისადგომებამდე დაფნა და კიპარისი დაერგათ.

დარგეს კიდეც.

მერე ციხის მიდამოებიც მოსინჯეს. 20 ათასი ორმო გამზადდა იქ აპრილ-მაისში დაფნისა და კიპარისისათვის.

...სამხრობა გადასული იყო. ეზოში რიგ-რიგობით შემოდიოდნენ და გადიოდნენ თვითმცლელები. ე. წ. „კევრზე“ იცლებოდა ცემენტი, საგულდაგულოდ გათხრილ ბალავერთან ჯარასავით ტრიალებდნენ ბიჭები.

— რაიონის ხელმძღვანელობა დიდ სპორტულ დარბაზს გვიშენებს. ჩვენც რა გული გვიზამს, ჩვენი ხელი არ წავაშველოთ! — ამბობს სკოლის დირექტორი ალექსანდრე ჯაფარიძე.

მოშორებით, ვეება მუხის მიღმა, მოწყენით დგანან ვაზები, მობუზულან, შეფერთხილან.

რთველი კი უსვი ჰქონდათ, ექვსი ტონა ყურძენი ჩამოკრიფეს. ეს კი ჰექტარზე 120 ცენტნერს უდრის. სარეკორდოა? დიახ!..



მექანიკოსთა წრის მეცადინეობაზე. მასწავლებელი გრ. გოგბერაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუჭნაოში ჯერაც ჰკიდია აკიდოები, ჩხები, ჯაგნები... ხარიხებზე თვლემენ ქარვისფერი იმერული ჩურჩხელები.

ცოტაც და... კვლავ ჩადგება ხეში წყალი. მაშინ ნახეთ, როგორ დატრიალდებიან ზვარში გოგო-ბიჭები.

დავით მასწავლებლის ხელმძღვანელობით დაიწყება ვაზების შემობარვაც და შპალერზე აკვრაც, გასხვლა-გაფურჩვნაც, ბორდოს ხსნარის მომზადება და შესხურება, გოგირდის შეფრქვევა, სასუქების შეტანა თუ ათასი სხვა რამ, რასაც ზედმიწევნით ზუსტად, აგროტექნიკურ ვადებში ითხოვს ეს დალოცვილი მცენარე.

ვენახის გვერდით ხეხილის ბაღია. აქ არის 22-ე და 23-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების დიპლომთა მფლობელის კოტე ჯაფარიძის მიერ გამოყვანილი ჰიბრიდული ჯიშები, რომელთა შესახებაც 23-ე კონფერენციაზე წარადგინა შრომა: „როგორ გამოვიყვანე მწვანე ნარგავები". ამ შრომის გამო, დიპლომთან ერთად, არტეკის საგზურითაც დაჯილდოვდა ბიჭი.

აქ არის საექსპერიმენტოდ გვერდიგვერდ დარგული ვაშლის ხეებიც — ერთნი ხშირტოტებიანი და გაბარჯღულნი, მეორენი კი — დაჩიავებულნი, დაკნინებულნი. ალექსანდრე გურჯიძე, ავთანდილ ჯაფარიძე, ჟენია რობაქიძე და სხვები პირველთ შეწამვლასაც თავის დროზე უტარებენ, შემობარვასაც, სასუქების მიწოდებასაც, მეორენი კი ყველა ამ სიკეთეს მოკლებულნი არიან და შედეგიც თვალწინაა.

თვითეულ მოსწავლეს დაკვირვების რვეულში აღნიშნული აქვს მასზე გაპიროვნებული მცენარეების მიმართ ჩატარებული სამუშაოები: რომელ დღეს რა გაუკეთდა ამა თუ იმ ნერგს. ამ დაკვირვებების შედეგად მოსწავლეები პრაქტიკულ ცოდნას იმდიდრებენ.

ყოველ ხესა და ბუჩქს გულისყურით ეკიდება მარინე ბოგვერაძე — დინჯი, დაკვირვებული გოგონა. კარგ სწავლასთან ერთად მარინე მრავალი საქმის თაოსანიცაა.

მასწავლებლები გივი გოგბერაშვილი, დალი კაპანაძე, პიონერხელმძღვანელი ამირან ჯაფარიძე სანიმუშო მოსწავლეების თემურ გოგოძის, ტარიელ და რუსუდან კუპატაძეების, როზა გელოვნიძის, მურმან ცხელიშვილისა და სხვათა დასახელებისას მარინეს სულ პირველს მოიხსენიებენ.

მარინე ნორჩი შემოქმედიცაა. მისმა მოთხრობამ — „შავმა მანდილმა" სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის დიპლომი დაიმსახურა.

სხვაც ბევრია აქ სიგელიანი, დიპლომიანი — ზედა საზანოს სკოლა. ესაა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე სკოლაა. ასპროცენტიანი წარმატების მქონე I[1], II[2], III[1], II[2], III, IV[1], IV[2], V[2], VIII კლასების, სწავლაში სამაგალითო მოსწავლეების იზა და თამარ კაპანაძეების, ქეთინო გამსახურდაშვილის, მარინე და გია გიორგაძეების, გელა და მადონა ჩუბინიძეების, იამზე მარუაშვილის, გულო ზარნაძის, დავით ბრეგვაძისა და მათ მსგავსთა ხსენებისას, ასე გგონიათ, სკოლის ჭერი მაღლდებაო, სახეზე ნათელი ეფინებათ დირექტორს, მასწავლებლებს, პიონერხელმძღვანელს...

ძალზე ხალისიანად, შინაარსიანად ეწყობა აქ დილა-საღამოები, რომლებზედაც მხატვრულ ფორმებში ხდება დიდი ოქტომბრის მონაპოვართა განზოგადება, მშრომელთა ბელადის ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდების გაცნობა.

საზანოელ მოსწავლეებს რომანტიკით ავსებს ლაშქრობა „მამაცთა გზით". ალექსანდრე გურჯიძემ და მარინე ჭანტურიძემ უამრავი რამ უამბეს თანატოლებს მოსკოვ-სევასტოპოლ-ოდესა-სტალინგრადის მონახულების შემდეგ.

ლენინისა და პიონერთა ოთახებში მრავალი საინტერესო ექსპონატი, ალბომები, ჩანახატ-ჩანაწერია. „გავიმდიდრებთ ცოდნას ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლით", „სანიმუშოდ მოვაწყობთ ლენინის ოთახს", „ვიქნებით მოწინავენი სწავლასა და შრომაში", „არ ვუღალატებთ ჩვენს ტრადიციებს ბუნების დაცვაში"... — წერია კედლებზე გაკრულ წარწერებში.

არც რესპუბლიკის მოწინავე სკოლებთან ურთიერთობა დავიწყებიათ. რამდენიმე წლის მეგობრობა აკავშირებთ ცაგერის რაიონის ლასურიაშის სკოლელებთან. ბევრჯერ ყოფილან ლასურიაშელთა სტუმრები, აქეთაც არაერთგზის მოუწვევიათ ისინი.

ზედასაზანოელთა სურვილია მეგობრობა დაამყარონ ნაქალაქეველებთან, რომლებმაც რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველებმა მოაწყვეს სკოლაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სურთ ნახონ მათი მუზეუმი, თავიანთი მხრივ კი ბუნების დაცვის საქმეში მიღებული გამოცდილება გაუზიარონ.

ზედასაზანოელ მოსწავლეთა საქმიანობას თავიდან ბოლომდე რომ წარმოიდგენ, ნარგავებით დამშვენებულ ძუსას ნაპირებსა და მთებს შეფენილ სოფელს რომ გადახედავ, გულში უნებლიეთ ახმიანდება სანუკვარი სიტყვები: „აყვავდი, ტურფა ქვეყანავ!"

გოგოლა მზარელუა.

თბილი ზამთარი იცის იმერეთში, სიმწვანეს ინახავს სერებს შეფენილი სოფელი ზედა საზანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ლექსები

ლაღი სულაბერიძე

ჯერ

თორმეტი წლის ვარ
და მე ვარ ბიჭი,
მიყვარს წიგნები,
თამაში,
ბურთი...
მე ჯერ არ მყოფნის ყველაფრის ნიჭი,
მაგრამ არა ვარ ამიტომ ცუდი.

მე მიყვარს
დილით მზე რომ ამოვა,
მე მიყვარს
ღამით კაშკაში მთვარის.
ვარ ფიქრის ბიჭი
და საამოა
ჩემთვის წვიმებიც,
თოვლიც და ქარიც.

მე მიყვარს მტკვარი
მღვრიეც და წმინდაც,
მის ნაპირებთან ავიდგი ენა.
მაგრამ არაგვის ტალღებიც მინდა,
მინდა რიონის ჭალებზეც რბენა.

ზეპირად ვიცი არსენას ლექსი,
ქართული ენის კანონებს ვსწავლობ.
თუმც ყველაფერი კარგად არ მესმის,
ჯერ კიდევ სრულად ნიჭი არ მწყალობს.

და სამიანებს მიწერენ ხშირად
მასწავლებლები,
და მე არ ვდაობ,
მაგრამ ვერ მნახავთ ნაღველით მზირალს,
კვალდაკვალ მოგდევ,
ძმაო და დაო.

მეც ჩემი დიდი გზა მელის, მიცდის,
ყველა იდუმალ მთას ქამანდს ვესვრი.
მე, შეიძლება, ვარსკვლავებს მივწვდე,
მე, შეიძლება, დავწერო ლექსიც.

მასწავლებელი ვერ მაქებს ძლიერ,
უჭირსო ახსნას წილადის არსი.
ფრიადოსანთა აკრავენ სიებს,
მეც არავინ მყავს იმათი ფასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ გვერდით ვზივარ პატარა მერხზე,
ვაკეთებ გულით, რასაც კი შევძლებ.
ვკითხულობ კაკო ყაჩაღის ლექსებს
და ვფიქრობ ორი ძმობილის ბედზე.

და ჩემზე არვინ არ ამბობს ქებას,
სამოსნებს აღარ აქებენ სულაც.
ჩემი ცეცხლი კი მაინც არ ქრება
და მე არავის არ ვუცქერ მტრულად;

რადგან კეთილი ბიჭი ვარ მეტად
(ვერვინ გაიგებს ჩემსავით ამას).
მე ყვავილს დღესაც მივუტან დედას,
მე წიგნებს დღესაც მომიტანს მამა.

თორმეტი წლის ვარ,
ვარ კარგი ბიჭი,
მიყვარს
წიგნებიც,
თამაშიც,
ბურთიც...
თუმც ჯერ არ მყოფნის ყველაფრის ნიჭი,
მაგრამ არა ვარ ამიტომ ცუდი.

არ ვიჭერ მინდვრად მფრინავ პეპელას,
არც ბრაზიანი არა მაქვს გული,
მაგრამ დღეს ერთმა მასწავლებელმა
ძლიერ მატკინა ანკარა სული.

ჩემს გვერდით იჯდა გოგონა მისი,—
დღეს იაგოსთან გადასვა მზია.

მე უცებ თვალში ჩამიდგა ნისლი
და მან ეს ნისლი ვერ შეამჩნია.

კი,
მზია არის ფრიადოსანი,
გასაოცარი აქვს სწავლის ნიჭი.
კი,
მე ვერ ვსწავლობ იაგოსავით,
ინგლისური და რუსული მიჭირს.

მაგრამ რად შეკრთა,
რად შეკრთა მზიას
დედა,
აღმზრდელი მისიც და ჩემიც?
მე სამოსანის სახელი მქვია,
მაგრამ მეც მელის დიდ ზღვაში გემი.

მაგრამ მე ვიცი, რომ კარგი ბიჭი
ვარ და ვიქნები ხვალ უკეთესი,
მაქვს, შეიძლება, გაფრენის ნიჭიც
და, შეიძლება, დავწერო ლექსიც.

მე, შეიძლება, დავხატო მზიაც
ფერადი ფანქრით და ნისლის ფერით...
ქარები ქრიან,
ქარები ქრიან
და მიაქვთ ქუჩის ჩრდილი და მტვერი...

მე მიყვარს ჩემი ქუჩები ფართო,
მე მიყვარს ჩემი ხიდების ბურჯი.
ჩემს პატარა გულს თბილისში ვათბობ
და ცისარტყელა მგონია ფუნჯი.

მერე რაა, რომ ფრთა ვერ გაშალა
ჯერ ჩემმა ყველა ნიჭიერებამ,
მეც მელის ჩემი დიდი გზა-შარა,
ვგრძნობ მიწისა და მზის ძლიერებას.

მე სხვა ქალაქში დავსახლდე თუნდაც,
ჩემს დღევანდელ ნისლს აღარსად დავხევ.
ჩემი და მზიას სახელი მუდამ
შერჩება მაინც ამ პატარა მერხს.

არ შეიძლება მე ჩემს გზას ავცდე,
ყველა იდუმალ მთას ქამანდს ვესვრი.
მე, შეიძლება, ვარსკვლავებს ავწვდე,
მე, შეიძლება, დავწერო ლექსიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო...



ნ. მეძვაბიშვილი

ამჯერად ჩვენი სტუმარია რეს-კუბლიკის დამსახურებული აგრონომი ნოე მეძვაბიშვილი. გთავაზობთ მის ნაამბობს.

ჩემი ბავშვობიდან გაჭირვებისა და მწუხარების მეტი არა მომაგონდება რა. ახლა ჩვენი ბავშვების ბედნიერ ცხოვრებას რომ ვუყურებ, გული სახარულით მევსება. ოზურგეთში დავიბადე (ახლანდელი მახარაძე). ჩვენი ოჯახი ძალზე გაჭირვებულ პირობებში იმყოფებოდა, ისევე, როგორც იმდროინდელი ყველა მშრომელი ადამიანი. ამას ისიც დაერთო, რომ 1918 წელს გურიას თურქები შემოესივნენ და ააწიოკეს. 12 წლისა ვიყავი მაშინ. მახსოვს დედამ და მამამ ხელი დასტაცეს ჩემს პატარა და-ძმას, ცოტა უფროსები წინ დაგვილალეს, და ტყეს შევაფარეთ თავი. (სულ შვიდი და-ძმანი ვიყავით). შემოდგომის ცუდი, ღრუბლიანი ამინდი იდგა.

ექვსი თვე ითარეშეს თურქებმა გურიაში. ხიზნობიდან შინ რომ დავბრუნდით, ჩვენი სახლი მთლად გაპარტახებული დაგვხვდა. ბიძამ შეგვიკედლა. მამამ ვერ აიტანა ჯავრი, ლოგინად ჩავარდა და გარდაიცვალა. დარჩა დედა წვრილშვილით. არც ის იყო ჯანმრთელი, მაგრამ შვილების საზრდო ლუკმაპურისთვის ოფლს ღვრიდა, დიდი ჯაფა ადგა. უფროსი ძმა ბათუმში მუშაობდა, რკინიგზაზე, მაგრამ იმ გაჭირვებულ დროს თავისთავს ძლივს ირჩენდა და აბა ჩვენ როგორ უნდა დაგვხმარებოდა! ოჯახის უფროსობა მე დამაწვა კისერზე, 12 წლის ბიჭს. აბა, რაზე უნდა ეოცნება ჩემს მდგომარეობაში მყოფ ბიჭუნას? ჩემი ყველაზე დიდ იოცნება ის იყო, რომ სამუშაო მეშოვნა, დედას მხარში ამოვდგომოდი და ჩემი დახმარებით ოჯახი წელში გამართულიყო.

იმ დროს ოზურგეთში მემამულე ნინო დადიანი ცხოვრობდა. გაჭირვებამ იმის კარზე მიმიყვანა. მოჯამაგირედ დავუდექი. ვმწყემსავდი საქონელს, ხელზე ვემსახურებოდი. დედაც ოჯახურ საქმიანობაში ეხმარებოდა და ასე წვალებით ვშოულობდით ლუკმაპურს. და აი, მეორე ოცნება დამებადა — სწავლის ოცნება. პატარაობიდანვე მიტაცებდა წიგნის კითხვა, ზღაპრებისა და არაკების მოსმენა, ლექსების წერა. იმ დროს ოზურგეთში დაწყებითი საღამოს სასწავლებელი იყო და იქ დავიწყე სიარული. დღე სამწყესურში ვიყავი, საღამოობით კი ვსწავლობდი. ძალიან დავუმეგობრდი წიგნს. გაგონილი მქონდა: „თუ კაცსა თავი თან ახლავს, ღარიბად არ იხსენებაო“. წიგნი იყო ამ სიკეთის სათავე და მეც დღენიადაგ ხელში გადაშლილი წიგნი მეჭირა. ცხონდეს ივანე გაგუას სახელი, დიდი კეთილი და მოყვასი ადამიანი იყო. ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. 1917 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო. ხედავდა რა ბედშავი იყო ჩემი ბავშვობა. იმან გამანებებინა თავი მოჯამაგირეობას და მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებაში დარაჯ-დამტარებლად გადამიყვანა. ფოსტა დამქონდა, თან იქაურობას ვალაგებდი. ერთი წლის შემდეგ, ისევ ივანე გაგუამ, რაკი წიგნის ასეთი მოყვარული ხარო, მაზრის განათლების განყოფილებაში გადამიყვანა. მაზრის განათლების განყოფილებას მარიამ ლომინაძე ედგა სათავეში, ძველი ბოლშევიკი და გულისხმიერი ადამიანი. არცერთი წიგნი და ჟურალი არ მოვიდოდა, რომ ჩემთვის არ მოეცა წასაკითხავად. სიყვარულით ვფურცლავდი იმდროინდელ საყმაწვილო ჟურნალს — „ნაკადულს“. განსაკუთრებით მიტაცებდა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები, იქნებ იმიტომაც, რომ ეს მწერალი ჩემსავით დიდ სიღარიბესა და გაჭირვებაში იყო გამოზრდილი, მოთხრობებშიც ხომ მშრომელი ადამიანის ჭირ-ვარამს აგვიწერს!

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მახსოვს, ივანე გაგუამ მხარზე ხელი დამადო და გამამხნევა: ახლა, ბიძია, ნუღა გეშინია, კარგი მომავალი გიღიმისო და კომკავშირში შესვლა მირჩია. კეთილ რჩევას რატომაც არ მივიღებდი! შევედი კომკავშირში. ძალე ოზურგეთის მოიდანახის უბნის კომკავშირის უჯრედის მდივნად დამნიშნეს. აქედან დაიწყო ჩემი ცხოვრების გამოდარება: დავადექი ნათელ, მართალ გზას. ბევრი კეთილი ადამიანი შემხვდა ცხოვრებაში, მაგრამ ივანე გაგუა იყო მთავარი ადამიანი, რომელმაც ჩემს მიმართ დიდი ადამიანური სითბო და მზრუნველობა გამოიჩინა, რისთვისაც არ შემიძლია მადლიერებით არ მოვიხსენიო.

ერთი ყმაწვილური ოცნებაც მქონდა: ძალიან მინდოდა ოზურგეთში, ჩვენს ნასახლარზე, სახლი ჩამედგა და მამისეულ კერიაზე შუაცეცხლს ისევ ებოლა. ოცნება ერთია და განხორციელება მეორე, ამას დრო უნდოდა, გარჯა... მითუმეტეს, ჩვენი ოჯახი, როგორც ნივთიერად ისე სულიერად, მთლად გაჩანაგებული იყო, ჩემზე უფროსი და-ძმა გარდამეცვალა, სულ უფროსი ძმა ბათუმში ცხოვრობდა, ასე რომ, მთელი ოჯახი ჩემს ანაბარა დარჩა, მე კი

ᲔᲗᲘᲔᲠ ᲒᲣᲜᲘᲐᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲣᲬᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲣᲬᲘᲚᲘ ᲛᲣᲨᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗ XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲘᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲙᲘᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐ. ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ

სახეცვლილებებით, გავრცელებული იყო კოსტუმის ნაწილები: ჩოხა, ნაბადი, ყაბალახი, ნაბდის ქუდი, კაბა და თავხურვა.

საქართველოს ბევრ ქალაქში: თბილისში, მცხეთაში, გორში, ხაშურში, თელავში, ბორჯომში, ახალქალაქში, ახალციხეში და სხვაგან, სადაც ხელოსნობის სხვადასხვა დარგი იყო განვითარებული, შემუშავდა „მოქალაქის" (ბურჟუაზიული ფენის) და ხელოსნის კოსტუმები.

საქართველოს ცალკეული კუთხეების კოსტუმებს შორის მნიშვნელოვანი თვისებებით გამოირჩევა ქართველ მთიელთა ჩაცმულობა: ხევსურული, ფშაური, მოხევური, სვანური, თუშური, რაჭული და სხვა კოსტუმები. დასავლეთ საქართველოში — აჭარული, გურული, ლაზური და სხვა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში შემოდის ევროპული კოსტუმი, რომელიც, რა თქმა უნდა, თავდაპირველად საზოგადოების მაღალ ფენებში ვრცელდება და თანდათანობით მთელ საქართველოში იკიდებს ფეხს. ქართული კოსტუმის სახესხვაობა კი შედარებით ხანგრძლივად გლეხმა მოსახლეობამ შემოგვინახა (განსაკუთრებით მთაში მცხოვრებლებმა).

ქართულ ჩაცმულობას დამამშვენებელი ელემენტების, ნივთსამკაულების გარდა, სილამაზეს ჰმატებდა ქართული ქარგულობაც (ოქრომკედით — ოქროს ძაფით და სხვადასხვა თვლებით იქარგებოდა გულისპირი, სარტყელი, მაჯები).

ბევრი უცხოელი მოგზაური განცვიფრებულა ქართველთა ჩაცმულობის სილამაზით და მოხდენილობით, ბევრ მწერალს შეუსხამს ხოტბა ამ მეტად თავისებურად ლამაზი და ლაზათიანი სამოსისათვის.

საქართველოში ქსოვილის დამზადება-შეღებვას რომ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ამას მოწმობს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნიმუშები, ძველი ისტორიკოსების, გეოგრაფოსების ცნობები. ამ ცნობებით ისიც დასტურდება, რომ საქართველოში ამზადებდნენ ხელის, ბამბის, მატყლისა და აბრეშუმის ქსოვილებს. საერთოდ, არჩევენ ქსოვილის ორ ძირითად სახეობას: სახიანსა და უსახოს. სახიანი ქსოვილის დამზადების სხვადასხვა წესი არსებობდა. მეტად გავრცელებული იყო დაჩითვის ორგვარი წესი: ნეგატიური (როდესაც ნახატი შეუღებავი რჩებოდა) და პოზიტიური (როდესაც ნახატის და ფონის შეფარდება ყალიბებზე იბეჭდებოდა).

დასაჩითავად სხვადასხვა ქსოვილს იყენებდნენ. ყველაზე უძველესი ხელის ქსოვილია. შემდეგ ამზადებდნენ საკმაოდ უხეშ ბამბის ქსოვილს და ჩითს (თხელ, საფაბრიკო ბამბის ქსოვილს). ნახატსაც ქსოვილის ხარისხის შესაბამისად არჩევდნენ. უხეშ ქსოვილებს მსხვილ, დეკორატიული მოტივის სახეს უხამებდნენ, წვრილ ხატოვან სახეს — ჩითის თხელ ქსოვილებს. სხვადასხვაგვარ დეკორატიულ მოტივებს შორის საქართველოში გავრცელებული იყო გეომეტრიული (რომელიც უძველესი სახისაა), მცენარეული და ცხოველური მოტივები. მაგრამ ამათგან განსაკუთრებით პოპულარული მცენარეული მოტივია. ეს სახე ზოლიან ქსოვილშიც შეჰქონდათ.

ლამაზად დაჩითულ ფერადოვან ქსოვილებს ხმარობდნენ სამოსის სარჩულებად, თავსაბურავებად, წიგნის ყდის სარჩულად, ფარდებად...

ზოგჯერ დაჩითულ ქსოვილს იყენებდნენ მასალად უფრო ძვირფასი ქსოვილისათვის. მაგალითად, დაჩითული ქსოვილის ნახატს ირგვლივ ავლებდნენ ოქრომკედის კონტურს და ასეთ ქსოვილს ქალები თავსაბურავად ხმარობდნენ.

XIX საუკუნის ბოლოს საფაბრიკო წესით დამზადებულმა ქსოვილმა სრულიად განდევნა შინამრეწველურად დამზადებული ქსოვილები, სადაც ასახული იყო ქართველი ხელოსნების თვითმყოფადობა და ამ დარგში მომუშავეთა დიდი მხატვრული გემოვნება.

წყალქვეშა ნავის კაპიტანი

მოთხრობა

ალბერტ ბელი

არავინ იცოდა ვინ იყო ეს კაცი, ან როგორ გაჩნდა ამ სამალავში. ალბათ ღამე სამუშაოდან ბრუნდებოდა და საჰაერო თავდასხმის დროს უახლოეს თავშესაფარში დაიმალა.

ბომბების გრუხუნი ერთი წამით ყრუ გუგუნმა დაფარა, მერე, თითქოს ვიღაცამ დაიგმინაო, სარდაფი ერთიანად შეზანზარდა. თავშეფარებული ადამიანები ერთი-მეორეს მიეჯახ-მოეჯახნენ და იატაკზე დაცვივდნენ. სინათლე ჩაქრა. სახლს ბომბი დაეცა და დაანგრია, მაგრამ სარდაფმა გაუძლო. როცა თავშეფარებულებმა სული მოითქვეს, სულ მტვერი და ჭვარტლი ახველეს, ერთმა ქალმა ისეთნაირად შეჰკივლა, ლამის გულ-ღვიძლი თან ამოაყოლა. არავინ ცდილა იმის დამშვიდებას. იქამდე ყვიროდა, ვიდრე ხველება არ აუტყდა.

ცოტა ხნის მერე ერთადერთი ჯიბის ფანარი აკიაფდა.

— მშვიდად იყავით! — მე წყალქვეშა ნავის კაპიტანი გახლავართ! — თქვა ფანრის პატრონმა და ფანარი ზედ მიინათა, მრგვალ პირისახეზე წითელი მტვერი ედო. წვრილი ტუჩები მკაცრ იერს აძლევდა, ლოყაზე მომსხო ცხვირის ჩრდილი ეფინა. ამ კაცმა განგებ გაიჩერა ფანარი სახესთან, რომ ყველას კარგად დაენახა. ვინც მოშორებით იჯდა, ვერაფერს ხედავდა, სინათლე იქამდე ვერა სწვდებოდა, დანარჩენები კი საშინელი აჩრდილებივით იყურებოდნენ აგურის წითელი მტვრის ნისლიდან. და აი, ამ ბინდბუნდში ყველა იმ კაცის განათებულ სახეს შეჰყურებდა. რაღა თქმა უნდოდა, ეს ნამდვილი ზღვის მგელი იყო, რომელსაც ბევრი ქარიშხალი უნახავს და ნაღმოსანთა დევნა გამოუცდია. ზღვის ფსკერზე უთუოდ არა ერთი და ორი ჰიტლერული ტრანსპორტიც ექნება ჩაძირული. ბევრჯერ იქნებოდა ბეწვის ხიდზე და ალბათ ყოველთვის გამარჯვებული დასხლტომია სიკვდილის ბასრ ბრჭყალებს. ეს კაცი თავისთავზე ერთ სიტყვასაც არ ამბობდა. მხოლოდ ფანარი მიინათა და თქვა: „მე წყალქვეშა ნავის კაპიტანი ვარ“. ამის თქმა იყო და, ყველა დამშვიდდა. მან მთელი თავისი ბიოგრაფია პატარა ფანრის შუქით იამბო.

— თქვენ როდისმე წოლილხართ ზღვის ფსკერზე? — ჰკითხა გოგონამ. ამ გოგონას ოჯახში არავინ აშინებდა სიბნელით, არც „გუდიანი კაცით“, არც ჯადოქრებითა და კაციჭამიებით. მას ქვეყანაზე არაფრისა ეშინოდა, თვით სიკვდილისაც კი, იმიტომ, რომ არ იცოდა რა იყო სიკვდილი. ერთადერთი — თვითმფრინავებისა ეშინოდა, თუმცა არც ისინი ენახა თვალით, — ღამე მოფრინდებოდნენ ხოლმე დასაბომბავად.

— როგორ არა! — მიუგო წყალქვეშა ნავის კაპიტანმა.

— თურმე ძალიან ძნელია, როცა ადამიანს ჰაერი არ ჰყოფნის, — ჩაერია ლაპარაკში გოგონას დედა.

გოგონა კი ბევრ ჰაერს არის მიჩვეული, ძალიან ბევრს. დედამიწაზე ხომ განუზომელია ჰაერი! უამრავია ხე, ბალახი, წყალი... ჰაერი კი, უფრო მეტი და მეტი! არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული და როგორმე, ალბათ, ამ სარდაფშიც ჩამოაღწევს.

— დედა, ნუ სტირი, ტყუილუბრალოდ ნუ ხარჯავ ჟანგბადს, — უთხრა გოგონამ დედას. გოგონამ იცოდა, რომ ჟანგბადის საქმე ვერ იყო კარგად, შეიძლება არ ჰყოფნოდათ.

— არაფერია! — გაუქარწყლა შიში წყალქვეშა ნავის კაპიტანმა.—ერთხელ წყალქვეშ ხუთი დღედაღამე დავყავით, ვიდრე აგვიყვანდნენ. აბა ვცადოთ და მივუბრახუნოთ, უფრო მალე გვიპოვნიან. ოღონდ მშვიდად, დინჯად ვიმოქმედოთ.

გაზეთებიდან ყველამ იცოდა, რა საშინელების გადატანა უხდება წყალქვეშა ნავის შემადგენლობას, როცა ფსკერზე უმწეოდ იძირება. და აი ახლა, ეს ადამიანები პირისპირ შეჰყურებდნენ ერთ-ერთ ლეგენდარულ ზღვის მგელს, მშვიდს, რწმენით სავსეს, და თვითონაც მშვიდდებოდნენ. სჯეროდათ, ხიფათი არაფერი ელოდათ და უთუოდ თავს დააღწევდნენ ამ განსაცდელს.

— „დინ“! — წყალქვეშა ნავის კაპიტანმა ქვა დაჰკრა წყალსადენის მილს. „დინ“, „დინ“ — ყველანი სმენად იქცნენ. გოგონამ წარმოიდგინა, ეს ხმა როგორ მიედინება მილში, ნანგრევებიდან მაღლა ადის და ქალაქს ეფინება: „დინ“, „დინ“.

— მილი გაწყვეტილია და ნანგრევებშია ჩამარხული. ჩვენს ხმას ვერავინ ვერ გაიგებს!

როგორც ყველგან, აქაც გამოჩნდა „ურწმუნო თომა“. მილს წყალქვეშა ნავის კაპიტანმა შემოჰკრა ქვა, ამან კი, — „ჩვენს ხმას ვერავინ ვერ გაიგებსო“, სიტყვა „ჩვენს“ განგებ იხმარა, რომ თავისი ურწმუნოება სხვებისთვისაც გადაედო. უნდოდა, ყველას უნდობლობით აქეთ-იქით ექნია თავი და ევიშვიშა: „ხმას ვერ მივაწვდენთო“. მერე კი, რაკი დაშინდებოდნენ, თვითონ თავს მაღლა ასწევდა და იტყოდა: „ხომ გეუბნებოდითო“.

„ურწმუნო თომას“ ყველამ წყრომით გადახედა.

გოგონამ კი თვალწინ წარმოიდგინა, რომ იქ, მაღლა, სადღაც წყალსადენი მილი ბომბების აფეთქებამ გახეთ-

ქა და იმ ადგილს ლითონი ტიტას ყვავილივით გადაიშალა, რკინის ამ ყვავილიდან კი შადრევანმა ამოხეთქა, რომლის უთარავი წვრილი ნაკადი მტერიად ნანგრევს ეშხეფება. ამ ნაკადებს მიპყავება გუგეში „დინ“, და ეფინება ქალაქს. ადამიანებს ხელში ნიჩბები მოემარჯვებიათ და დანგრეულ სახლისაკენ მოიჩქარიან, რომელი რომელს. ვასსწრებს — სამხედრო თუ მოქალაქე. მოჩქრიან მანქანები, მეხლეხების რახრახით მოცოცავს ტანკი. მხოლოდ ამ ტანკს შესწევს ძალა სარდაფის ჩანგრეულ კედლები ამოზიდოს. გუგეში კი სულ უფრო და უფრო ძლიერდება და გარეშოს ეფინება: „დინ“, „დინ!“

სარდაფში სამარისებური დუმილი იდგა. მერე ისევ მოისმა ქალის ქვითინი. ერთმა კაცმა ძალაუნი მოძებნა და შეეცადა ჩამონგრეულ კიბეებამდე გზა გიკაფოდა. დაჭკა ერთხელ, ორჯერ, სარდაფში ქვების ზვავი ჩამოწვა. კაცმა სწრაფად დაიხია უკან.

— ქალები და ბავშვები ადგილთან მოეშვით! — გასცა ბრძანება წყალქვეშა ნავის კაპიტანმა.

კედელი დიდი ქვებით იყო ამოშენებული, იმის თავზე ვერ არცკი გაბზარულიყო.

— მე თქვენთან დავრჩები. — უთხრა გოგონამ მეთიურს.

— ნეტავ რა ეულოდელკარეფილები სხედან ზემოთ? რას ელოდებიან? თუ ამოვიღრჩობით, მერე რაღას გვიშვალიან? — ბუზღუნებდა „ურწმუნო თომა“.

ახლა დანარჩენებსაც ისე ეგონათ, რომ უკვე დიდმა დრომ განვლო ამ ყოფაში — რამდენიმე დღეკ, ან იქნებ კვირამაც. ყველა ისე ფიქრობდა, რომ ბეწვზე იყვნენ გადარჩენილები, მაგრამ რაკი ბედისწერისა არავის სწამდა, სიცოცხლის იმედი გადაფუწდათ. წუთები დათვლილი იყო და აღარ ღირდა ნებისყოფის შენარჩუნება. ამბობენ, სიკვდილის წინ ადამიანს ინსტინქტები ეუფლებიან. დიდი ნებისყოფაა საჭირო, რომ სძლიო ამ ყოფას. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილებს, ამის თავი უკვე აღარ ჭმნდათ.

— დასწყევლოს ეშმაკმა! — თქვა ერთმა, — აქ მომეცით ძალაუნი, არ მინდა ასე ამოვიხრჩო.

— ჭერი ბეწვზე ჰკიდია, — უპასუხა წყალქვეშა ნავის კაპიტანმა. — მოთმინება გვმართებს.

— როდემდე? ამ მოთმინებაში სული ამოგვძვრება და ეგ იქნება. მომეცით ძალაუნი!

— მოეცით, — ამოიკვნესა ქალმა, — ხომ უნდა ვიღონოთ რამე! სხვა არა იყოს რა, ეს ბავშვი ხელიდან გამომეცლება.

გოგონას მართლაც უჭირდა სუნთქვა, მაგრამ მაინც თქვა:

— არ დავიხრჩობი, მყოფნის ჰაერი, მე ხომ პატარა ფილტვები მაქვს.

— მომეცით ძალაუნი!

— არა!

წყალქვეშა ნავის კაპიტანს ავტორიტეტი არ უნდა დაკარგა და, რაც მთავარია, არც ძალაუნი, თორემ იმედგადაწყვეტილი მამაკაცები შეეცდებოდნენ გასაფილი გაეკეთათ, რასაც ეჭერი ეკრ გაეძლებდა და მაშინვე იხეტქლებდა.

— „დინ!“ — შემოაკრეს ზემოდან მილს.

— ვაშა! — შესძახა გოგონამ, — მოვიდნენ, მოვიდნენ! — გოგონას ხველა ატაკედა.

— აბა, მოვიდნენ! — ჩაიღაპარაკა კაპიტანმა, მილთან ჩამოჯდა და ძალაუნიანე გეერილთ მოიღო. მას სწამდა ადამიანებისა და არც გაუტაკუნებია იმედი. გაისმა თუ არა „დინ“, ის ისევ მეთიური გახდა.

მხატვარი ომარ ციციშვილი.

— ნეტავ რას უკაკუნებენ? — იკითხა იმ კაცმა, ძალაკინს რომ თხოულობდა. — რა რაკაურეკი აუტყდათ! თქვენ ხომ იცით მორზეს ანბანი?

— ისინი გვამცნობენ, ერთ საათში სარდაფამდე მოვალწევთო, — უპასუხა კაპიტანმა.

— რომელი საათია?

— ორის ნახევარია, — უპასუხა კეთხეში მიყუჟულმა კაცმა. მთელ სარდაფში მხოლოდ მას ჰქონდა საათი.

— მომეცით საათი. — უთხრა კაპიტანმა. მაშინვე უხმოდ მიაწოდეს.

კაპიტანმა ფანარი ჩააქრო, ბატარეა თითქმის დაცლილიყო.

ყველანი განაბულნი. სმენადქცეულნი ისხდნენ. სადღაც, ზემოთ, ფეხის ხმა გაისმა. იმედს წამდაუწუმ გაღვივებენ უნდა, თორემ ამ ფანარივით მალე ჩაქრება. ჰოდა, ამათაც თვალი და ყური ზემოთ ჰქონდათ მიპყრობილი, განვლილი დრო საუკუნედ ეჩვენებოდათ. თვალწინ წარმოიდგინეს მთელი თავიანთი სიცოცხლე. დაბადებიდან ამ საშინელ ამბამდე. მათ შეეძლოთ თავიანთი ცხოვრება სამანინეთ მუხლებზე გადაეშალათ და საგულდაგულოდ დაეთვალიერებინათ მისი ყოველი სახე, ნაყში. აკა-იქ პირი დაეღოთ ამოგლეჯილ ადგილებს. აქ ბეხსიერება უძლური ხლებოდა, წაშლილი იყო ყველაფერი, მოვიწყეტელი; მორჩა და გათავდა! შეიძლებოდა სამანინ უკუღმა პირზეც გადაეტრიალებინათ, და ახლა იმაზე ეფიქრათ. შეიძლებოდა თუ არა ცხოვრება წაღმა წასულიყო. ახალი სახეები და ნაყში მოეფიქრებინათ და, თითქოს ერთი საუკუნე გავიდაო, წყალქვეშა ნავის კაპიტნისათვის ეკითხნათ:

— რომელი საათია?

— სულ ბეთი წუთი გავიდა.

ეტყობა, დროს მეხლი მოეკეთა!

— საათი გაჩერებულა! — ჩაილაპარაკა „ურწმუნო თომამ“. წყალქვეშა ნავის კაპიტანმა საათი ყურზე მიადო. „ურწმუნო თომამ“ აშიაზმეულა.

— რაო, გაჩერებულა? — განგებ შეეკითხა მეთიური.

— არა, მუშაობს. — უპასუხა მან.

ყველას გაეცინა. რაკი გაეცინოთ, მათთვის ეს კაცი უკვე აღარ იყო საშიში.

გიაარა რაშდენიმე საუკუნემ.

სიბნელეში მეიჯროდ მიმსხდარიყვნენ ადამიანები, რომ ერთმანეთის სუნთქვა მაინც გაეგოთ. ეგრძნოთ, რომ ამ ქვეყანაზე კიდევ არიან ცოცხლები. თორემ ისეთი სიბნელე იდგა, ერთ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. ერთიმეორეს ხელს თუ წაატანდნენ, ან სუნთქვა თუ შემოესმოდათ. თვითმფრინავმა მათ თვალები დასთხარა, ამ უკუნეთში გადმოისროლა, მაგრამ სულით კი ვერ დასცა, იმიტომ, რომ შეერთებული ძალით უმკლავდებოდნენ გასაჭირს. ეიღაცას ზეკარ ალმოაჩნდა. ცოტა-ცოტა ყველამ მოსცა. ყველაზე ბოლოს კაპიტანმა დალია. ადამიანები გრძნობდნენ, რომ მოთმინება იყო საჭირო. ტირილი ვერ უშველიდათ. ძალაყინით ვერ ბოლოს გაკეალა არ შეიძლებოდა. ოდნავი განძრევაც კი შეიძლება საბედისწერო გამზდარიყო, რადგან ზემოთ, საღღაც ჩაქუჩის კაკუნი ისმოდა. სისხლი უდუღდათ. მოწიფალო მტერიანა ბელი იდგა, მაგრამ მაინც არ იყვნენ უმწეონი. მაგრამ რაღაცას აკეთებდნენ, როცა სხვა საქმე არა აქვს ადამიანს, მოლოდინია დიდი საქმეა!

— რომელი საათია?

— ნახევარი საათი გავიდა.

წყალქვეშა ნავის კაპიტანმა ლეტიფოდ [illegible] მილზე ქვას შემოაკრავდა ხოლმე. ზემოდან საპასუხო ნიშანს აძლევდნენ. დარტყმა ხანგამოშვებით ისმოდა, ალბათ ეოტანი იყვნენ მშველელები.

როცა თავშესაფარი გაათავისუფლეს, ბევრი უკვე გულწასული იყო. მათ შორის — გოგონაც. კეჩაში მზე ანათებდა, სარდაფში მყოფთ სიბნელის მერე სინათლე თვალს სჭრიდა და სახეზე ხელებს იფარებდნენ. ვერ გაგვიგია: როგორ უნდა დამდგარიყო დილა, თუკი სარდაფში მხოლოდ ორი საათი იყენენ.

— აკი ვეუბნებოდით, — ნიშნი მიუგო „ურწმუნო თომამ“, — საათი გაჩერებული იყო, აბა შეხედეთ, მზე შუბის ტარზე დგას.

— ეგ ხომ დასაცვეთია. — სიტყვა შეაწყვეტინეს დანარჩენებმა. — ერთი საათში მზე კიდევ ჩაგა.

— როგორ, მაშ სარდაფში 18 საუზე მეტანს ვიყვეკით?

— მაშ! აკი მოგეცით ნიშანი, რომ წყალსადენი მილი გამოვრთეთ. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, წყალი წაგლუკავდათ. თქვენ მილი უნდა გაგეხსნათ და ჰაერი შემოვიდოდა.

— კაპიტანს არაფერი უთქვამს! — შეიცხადა „ურწმენო თომამ“, — მაგის მეტმა კი არაკინ იცოდა მორზეს ანბანი.

მშველელებმა „ურწმუნო თომას“ გაოცებით შეხედეს:

— ეს რა კაპიტანია! წყალი მხოლოდ ტაშეში თუ უნახავს!

როცა სანტარტულ მანქანაში გოგონა საკაცით შეიყვანეს, მან კაპიტანი ეკითხა.

კაპიტანი მიეიდა მასთან.

— ძალიან გეშინოდა? — ალერსით ჩაეკითხა გოგონას.

— სულაც არ მეშინოდა, — მიუგო გოგონამ. — სიბნელე იყო, მეტი ხომ არაფერი! დაიხარეთ, რაღაც უნდა ეკითხოთ,

კაპიტანი გოგონას თავთან დაიხარა.

— მაშინვე გიეცანთ, — უჩურჩულა გოგონამ, — მე ხომ ყოველდღე ჩავეფენ ხოლმე სკოლის ბაღს, სადაც თქვენ ვაშლს ნერგავს რგავთ. რა კარგია, რომ არაფერი ეთქვი და ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა. როცა დიდი გავიზრდები, კაპიტანი გამოვალ და უსათუოდ წაგიყვანთ გემზე.

— გოგონებს კაპიტნებად არ იღებენ! — უთხრა კაცმა.

— მე მიმიღებენ! გემზე თუ არა, წყალქვეშა ნავზე მაინც.

— კმარა, ახლა გაჩუმდი, ნუ მოძრაობ, კაპიტანო! — უთხრეს სანიტრებმა გოგონას.

მანქანა რომ დაიძრა, გოგონამ ხელი გამოყო ფანჯარაში და კაპიტანს დაუქნია — კარგად იყავით!

ომარ ციციშვილი.

ნინო ნაკაშიძე

ლაკრანი ჟვანია

ეთნოგრაფია

მრჩველი და აღმზრდელი, კეთილი და სათნო, თანამგრძნობი, სამართლიანი.

ასეთი იყო მწერალი ნინო ნაკაშიძე. მან ჩვენს დრამდე დიდი სიყვარულითა და თავგადაკლული ზრუნვით სახელოვნად მოიკაბა საბავშვო ეროვნული „ნაკადული". ვინ იცის, დღეს ცოცხალ იყოფნეს ამ საბავშვო ეროვნულს, რომელშიც ნორჩი თაობის აღსაზრდელად რაოდენ დიდი სიკეთე და ფაქიზი გრძნობა იყო ჩაქსოვილი! ამ სამეფე ათეული წლობით ემსახურა ნინო და, საკვირველია, ამ პატარა ქალმა როგორ შეესწარა ოცდაშვიდ დუბერის დრაში შეეფარებლად გაგვიძო ეროვნული გამოცემა.

ნინო მომცრო ტანის ქალი იყო მუდამ შავი ტანისამოსი ეცვა, თეთრი თმა ჰქონდა. როგორც ამბობდნენ, ჭაღარა ადრე მორეოდა, სახემოღეშეულს იშვიათად ნახავდით, ყოველთვის ღიმილი უმშვენებდა სახეს. მსუბუქი სიარული იცოდა. ოთხმოცდათორმეტ წლამდე მიაღწია, მაგრამ წელში არ მოხრილა. მისი ტკბილი და შინაარსიანი საუბარი (ეროული კილო ჰქონდა) უთუოდ მიგიზიდავდა, დაგაკავებდა. ამა ვინ არ დაუფდებდა ყურს, როცა იგონებდა პირად შეხვედრებს ჩვენს დიდ აკაკითან, ვაჟა-ფშაველასთან, ლევ ტოლსტოისთან. ქალებზა თავის თანამედროვე, მის თვალწინ გაზრდილ ქართველ მწერლებზე — ილიოზან ედეშვილზე, მალაკი დადიანზე, ოთარ ჭიჭინაძეზე, ზეინ ფლვიანეზე, გიორგი ეეეინავილზე, მიხეილ ჯავახიშვილზე... მსაჯლობდა საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე. მხოლოდ ასეთ განათლებულ და გამოცდილ, ენერგიით სავსე ქალს შეეძლო ღირსეულად გასძღოლოდა საბავშვო ეროვნული. ნინო ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქართველი ბავშვის გონება ცოდნით გაემდიდრებინა, აღეზარდა ზრდილობანი და, რაც მთავარია, სამშობლოს მოსიყვარულე, პატრიოტი ადამიანი. ამიტომ ეძახდნენ მას ყველა ქართველი ბავშვის დედას.

ბოლოს, როცა მოხუცებულობის გამო ნინომ სამსახურს თავი დანება, ჩვენ მაინც არ ვემეგობოდით მას. სასახელოდ მიგვაჩნდა მისი ყოფნა საბავშვო ეროვნულის სარედაქციო კოლეგიებში. საბავშვო გამომცემლობის სარედაქციო საბჭოს წევრი იყო, დიდხანს ხელმძღვანელობდა საკარისიელოს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციას.

მისთვის არასოდეს არ დაგვეკარგებია თხოვნა მასალაში მოგვაწოდეო, თვითონ იცოდა, როდის რა იყო საჭირო და მოაქვნდა კიდეც. ხშირად ხელცარიელიც მოვიდოდა, ისაუბრებდა რედაქციის მუშაკებთან, გაიგებდა ეეეინაოს თუ გაზეთის ამბებს და წავიდოდა.

ერთხელ, დრამდ მუშაებული ნინო გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციაში მოვიდა, გაეცყო გაზეთის მორიგი ნომრების გეგმის. თან თავისი არაფერი მოუტანია, მაგრამ ეგონრნია: „მეცხოვნი ერთი შესანიშნავი მეამდეგი, მიხეილ მაუულაშვილი. საოცარი ყვავილები აქვს გაბარებული, მასზე უნდა დაწერო რამე, ის ეიანია".

რედაქციამ მიიღო მისი რჩევა.

შემდეგში ამ ცხობილ მეყვავილეზე მარტო „ნორჩ ლენინელში" კი არა, ბევრ სხვა ეეეეეანაოს და გაზეთში გამოქვეყნდა. ზეინოლეანი, ცალკე ეეეეეზმიაც აისახა ისინი საკმაონაა. ამას თვითონ ნინოც მოესწრო და უხაროდა, ხუმრობდა ამბობდა ხოლმე, მამეულაშვილი ჩემი აღმოჩენილიაო.

ჩვენნაირ საუბარი რომ მოათავა და წასასვლელად წამოდგა, იმ დროს „ნორჩი ლენინელის" რედაქტორმა თინა ეეეეიაშვილმა უთხრა:

— ქალბატონო, სად მიბრძანდებით?

— შინ.

— ჩვენი მანქანით წაბრძანდით.

— უკ, ამის ფასი რა გაგიკეთეთ?

— რას ბრძანებთ, ქალბატონო, თქვენ იმდენი გაკეთი გაკეთებული, რომ ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ მის გადახდას.

მანქანამდე ჩავაცილეთ. შიგ რომ ჩაჯდა, სიცილით თქვა:

— ეკ, ჩემს დროს მანქანა სად იყო!

ნინომ ბავშვებთან ხალისიანი საუბარი იცოდა. სადაც კი მივიდოდა, სკოლა იქნებოდა თუ საბავშოველო, პიონერთა ბანაკი თუ ოჯახი, ბავშვები ისე შეიყვარებდნენ, როგორც კარგ ნაცნობ-ნათესავს, თუმცა, ყველა ქართველი ბავშვის ნაცნობიც იყო და ნათესავიც თავისი შესანიშნავი მწერლობით და საქმიანობით! რომელი ერთი დაგასახელო ამის მაგალითად! 1937 წლის ზაფხული იყო, ქობულეთის პიონერთა ბანაკში მოეწყო ქართველი მწერალთა შეხვედრა ბავშვებთან. აქ ვიყავიო: ნინო ნაკაშიძე, ლიდია ბეგრელიძე, ილია სიხარულიძე, მაკაკალა მრეველიშვილი, გიორგი კაკაბაძე და მე. იმ ბანაკიდან კარგად დამახსოვდა უფროსი პიონერსელმძღვანელი პავლე ასლანიდი (ამჟამად გაზეთ „ეკრერნი ტბილისსის" რედაქტორი), ის ბანაკის სული და გული იყო. სულ გუნდგუნდად დასდევდნენ ბავშვები. ყველაფრის მოთავე და წამიწყები იყო. ბავშვებთან ერთად მღეროდა, ცეკვავდა, აწყობდა ახალ-ახალ თამაშობებს. ნინოც ძალიან მოიხიბლა, ამბობდა, ბავშვებთან მოიუმაგე სწორედ ასეთი უნდა იყოსო.

ნინო ესაუბრებოდა ბავშვებს.

ისინიც სულგანაბულნი უსმენდნენ.

ნინო ბავშვების შუაგულში იჯდა და ერთი ამბის მოყოლას რომ მორჩებოდა, ბავშვები კიდევ სთხოვდნენ:

— აბა, ბებია ნინო, კიდევ გვიამბეთ რამე.

ნინოსაც არ ეზარებოდა მოყოლა. ბოლოს, რომ დაიღალა, ბავშვებს უთხრა:

— აბა, ახლა თქვენ მომიყვეთო რამე ამბავი!

— მე ვიტყვეთ! — დაიძახა ერთმა გოგონამ და ზეზე წამოხტა.

— მოდი, მოდი, გამბარე, მომიყვეი! გოგონამ თხრობა დაიწყო.

ნინოს ისედაც ნათელი სახე კიდევ უფრო გაუნათდა, თვალები გაუბრწყინდნა. ბავშვმა რომ დამთავრა, შეკითხა:

— ვისი დაწერილია ეგ მოთხრობა?

— თქვენი, ბებია ნინო! — მორცხვად უასუხა გოგონამ.

— მაშ, ჩემზე აღრე ჩემი მოთხრობა მოსულა შენთან. ყოჩაღ, კარგად დაგიხსომებია.

გოგონაც გახარებული იყო და ნინოც.

მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში, როცა ახალი აღდგენილი იყო საახალწლოდ ნაძვისხის დადგმის ტრადიცია, გორის მესამე საშუალო სკოლაში მიგვიწვიეს. ეს სკოლა მაშინ ზემოთ, განთქმული გორის ციხის მახლობლად იყო. სკოლას ვეცადეზრეთ: ნინო ნაკაშიძე, გიორგი ეეეეშვილი, ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი), მაკაკალა მრეველიშვილი, ეერმია ქარელიშვილი, ილია სიხარულიძე და მე. ეს ბანაკიდან კარგად დამახსომდა უფროსი პიონერსელმძღვანელი პავლე ასლანიდი (ამჟამად გაზეთ „ეკრერნი ტბილისსის" რედაქტორი), ის ბანაკის სული და გული იყო. სულ გუნდგუნდად დასდევდნენ ბავშვები. ყველაფრის მოთავე და წამიწყები იყო. ბავშვებთან ერთად მღეროდა, ეცეკვავდა, აწყობდა ახალ-ახალ თამაშობებს. ნინოც ძალიან მოიხიბლა, ამბობდა, ბავშვებთან მოიუმაგე სწორედ ასეთი უნდა იყოსო.

ნინო ესაუბრებოდა ბავშვებს.

ისინიც სულგანაბულნი უსმენდნენ.

ნინო ბავშვების შუაგულში იჯდა და ერთი ამბის მოყოლას რომ მორჩებოდა, ბავშვები კიდევ სთხოვდნენ:

— აბა, ბებია ნინო, კიდევ გვიამბეთ რამე.

ნინოსაც არ ეზარებოდა მოყოლა. ბოლოს, რომ დაიღალა, ბავშვებს უთხრა:

— აბა, ახლა თქვენ მომიყვეთო რამე ამბავი!

— მე ვიტყვეთ! — დაიძახა ერთმა გოგონამ და ზეზე წამოხტა.

— მოდი, მოდი, გამბარე, მომიყვეი! გოგონამ თხრობა დაიწყო.

ნინოს ისედაც ნათელი სახე კიდევ უფრო გაუნათდა, თვალები გაუბრწყინდნა. ბავშვმა რომ დამთავრა, შეკითხა:

— ვისი დაწერილია ეგ მოთხრობა?

— თქვენი, ბებია ნინო! — მორცხვად უასუხა გოგონამ.

— მაშ, ჩემზე აღრე ჩემი მოთხრობა მოსულა შენთან. ყოჩაღ, კარგად დაგიხსომებია.

ეეეეე

გიორგი ქუჩიშვილი

ბიც მოეთაყვანებინა. აი, სწორედ იქიდან დარჩა და დარჩა ჩემს გულში დიდი პატივისცემა და მოწიწება გიორგი ქუჩიშვილისადმი (მისი სამფიგურა გაკარი ჩვენიმეა). დღესაც, როცა სამოც წელს ვარ გადაცილებული, ის ისევ იმ პირველფილი ბავშვური სიყვარულით მიყვარს, და რა გასაკვირველია, თუ ამ გრძნობის გამოხატვა პირველი შესაძლებლობისთანავე ვცადე.

ეს იყო 1933 წელს, როცა ეკონლო „პიონერის“ პასუხისმგებელ მდივნად დავიწყე მუშაობა.

იმ წანად ჩვენი რედაქცია სახელმწიფო გამომცემლობასთან ერთად, თბილისშია, კიროვის ქუჩაზე იყო მოთავსებული. ერთ დღეს სწორედ სახელმწიფო გამომცემლობის ფერფლაში დაენახა გიორგი ქუჩიშვილი. ის საშუალოზე მაღალი კაცი იყო, ხიფი, მაგვრამანი, წვერულვაშგაპარსული. სხვებისაგან აღვილად გამოირჩეოდა, თავისებურად ეცვა და ეფერა. თეთრ ტილოს ხალათზე, ტყავის კამრის მაგიერად, აპრეშუმის ძაფისაგან თოკივით დაგრეხილი დიდფიონრეპინაი ქამარი ჰქონდა შემოკრული. ის ყოველთვის ასე დადიოდა. ზაფხულობით თავზე ფართოფარფლებიან, მაკვერად ჩაკეცილ მავ შლაპას იხურავდა ხოლმე, ზამთრობით კი — ბობოს. ასლის რომ დაკეკრიფებოდი, ეკონადღესას მიძეკეედა მისი სწორაფად მოძრავი თვალები, მაღალი შუბლი და ერთ ადგილზე. ცოტა შუბლს ზემით, ჩატმილი მელტი თავი.

მე კი ვიცოდი, ვინც იყო, მაგრამ ის არ მიცნობდა და, ცოტა არ იყოს, შერიდებოდა. მაგრამ გავბედე და მივედი. რომ მივეკუსლოვდი, თვალი მომარიდა, ალბათ იფიქრა, მასთან არ მეკუბოდა საქმე, მაგრამ როცა ვუთხარი: პატივცემულო გიორგი, თქვენთან საქმე მაქვს-მეთქი, გასწორდა, შემომხედა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მერე ცოტა მოგვიანებით შემეკითხა:

— რა ბუბუპეი?

— ბოლოთ, ბავშვებისათვის ლექსი დაგვიწერეთ.

— თქვენ რომელი რედაქციიდან ხართ?

— ეკონლო „პიონერისა“, — ვუპასუხე მე.

ცოტა ხანს ჩუმად იყო, პაპიროსს ეწეოდა. მერე კი მითხრა:

— ვეცდები.

დაიმეფებენ ეკონლეთ. ხომ აღმითქვა, ვეცდებიო.

ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ ლექსი არა ჩანდა. მე კიდევ მოვაკონე დაპირება და ასლა ხელასეა ბავშვებმეე. კვლავ აღმითქვა, მოვიდანო, მაგრამ ლექსი ვერც ამ დაპირებას მოკეკა. რედაქციაში ხისთვის ეესნობი პიროვნებანი ეოდათვი და მეორი ეს იყო მიზეზი, რომ ლექსის მოტანას აკეკნებდა. გავიდა ერთი წელი და, შემდეგ, როგორც იქნა, მოიტანა ერთი ლექსი „ბებიის მერია“. ისე მორიდებულად შემოვიდა რედაქციაში, თითქოს უცხო იყო. ლექსი რომ გადმიწეა, თავისთვის ჩალაპარაკა, თუ გამოგადგებათო, და წავიდა. იმ დღესაც არ იყო გულგახსნილი. ვფიქრობდი: რა მიუკარებელი კაცი ყოფილა-მეთქი. შემდეგ დავიწყეს ფიქრი, რომ ჩემი შემდეგდროინა არ იყო სწორი, რადგან ჩვენ კარგი მეგობრები გავხდით და ყველა შეკვეთას პირნათლად ვგზარულებდა. ეს დიდი დაკვალიანებით მოტანილი ლექსი ეკონლეე „პიონერის“ მეთორმეტე ნომერში დაიბეჭდა 1934 წელს.

ამ ლექსით გაკუყდა ნაესი.

შემდეგ ჩვენს სასიკეთდეო პოეტმა ერთიმეორეზე მიყოლებით მოიტანა ლექსები, თან ეკეთხოდა ხოლმე: კიდევ რაზე დავწეროო, რა თემა გაინტერესებთო. გიორგის ლექსები ჩვენი ეკონლის ყოველ ნომერში რომ ყოფილიყო, სწორედ ის ეკითხოდა.

ეკონლე „ოკტომბრელის“ რედაქტორად ვმუშაობდი. რედაქციია მოთავსებული იყო გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისში. გიორგი რედაქციაში შემოვიდა, წამოიტანა, მოვესალმე:

— აბა, ბაბუვეიშეული ეკონლეი, რა ლექსით გაგვასარებთ?

— დღეს ხელცარიელი მოვედი, რა ვქნა, რაზე დავწერო? — აქეთ შემეკითხა.

სხეაკაშორის, თემების დასახე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამცირება, პირიქით, ცდილობდა სხვისი ავტორიტეტი არ შელახულიყო, განსაკუთრებით, უმცროსი თაობის მწერლებს ყოველთვის ახალისებდა. ეს გამოიხატა იმ დღესაც, როცა მებრძოლებსა და მეთაურებთან მწერლების შეხვედრა მოეწყო. შეხვედრის ხელმძღვანელმა პოეტმა, კაპიტანმა ა. გომიაშვილმა მოხსენების შემდეგ პირველი სიტყვის თქმა გიორგი ქუჩიშვილს სთხოვა. გიორგი წამოხტა და უარი თქვა:

— არა, არა. ჯერ კარლომ წაიკითხოს.

აქეთ კარლომ მოითხოვა, ჯერ გიორგიმ წაიკითხოსო. საბოლოოდ გიორგი ქუჩიშვილმა გაიტანა თავისი. ამით გიორგიმ თავისი პატივისცემა და დაფასება გამოხატა შედარებით თავისზე ახალგაზრდა პოეტისადმი. შემდეგ ეს სიტყვიერადაც თქვა:

— ჩვენ სიბერეში შევდგით ფეხი და ყოველთვის უნდა ვცდილობდეთ, რომ წავახალისოთ ახალგაზრდები, განსაკუთრებით ისეთი ახალგაზრდა პოეტი, როგორიც ჩვენი კარლოა.

დიდი ხნის უნახავ გიორგის ომის შემდეგ მაჩაბლის ქუჩაზე შევხვდი. მოვიკითხეთ ერთმანეთი. ის ძალიან მოწყენილი იყო, უფრო მეტად გამხდარი მეჩვენა. მოწყენის მიზეზი რომ ვკითხე, მითხრა: ავად ვარო. სწორედ ამ ავადმყოფობის დროს გადაუხადეს დაბადების სამოცი წლისთავი. თავის იუბილეს თვითონ ვერ დაესწრო, მძიმე ავადმყოფობის გამო ლოგინს იყო მიჯაჭვული. იუბილეზე მისი სამადლობელი სიტყვა წაიკითხეს, რომელიც ანდერძს უფრო ჰგავდა. იმ დღეებში მან არც ბავშვები დაივიწყა:

„ჩემო ბავშვებო, ჩემო ველის ყვავილებო! კარგად ისწავლეთ, გაიზარდეთ ჩვენი დიდი სამშობლოს საამაყო ვაჟიშვილები და ქალიშვილები! ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს და მეგობრულ საუბარში გავუზიარებთ ერთმანეთს, თუ ვინ რას ვაკეთებთ სამშობლოსათვის!

მომავალ შეხვედრამდე, ჩემო ძვირფასნო!“

გიორგი უკანასკნელ დღეში იყო, მაგრამ გული მაინც არ ჰქონდა გატეხილი, მაინც მომავალზე ფიქრობდა.

ამის შემდეგ ის თავის საყვარელ ბავშვებს აღარ შეხვედრია, მაგრამ მისი ლექსები, იმედითა და მომავლისადმი რწმენით აღსავსენი, ადამიანებივით მარტო უფროსებს კი არა, ნორჩებსაც ესაუბრებიან, რომელთაც პოეტი მოფერებით გაზაფხულის ყვავილებს, ძვირფას მარგალიტებსა და ღაბუა ჩიტებს უწოდებდა.

გოგია ხამხაძე და გივი ბოდაველი

გოგია ხამხაძე და გივი ბოდაველი XVIII საუკუნის სახალხო გმირები იყვნენ. ხამხაძე ქალაქ მცხეთის მკვიდრი იყო, ბოდაველი კი — სოფელ ბოდავისა. ისინი ჭაბუკობიდანვე იწრთობოდნენ ხმლით ფარიკაობაში და ბრძოლებში გულადობით გამოირჩეოდნენ. როგორც ერთი გადმოცემა მოგვითხრობს, ხამხაძესა და ბოდაველს ასპინძის სახელოვან ბრძოლაში მიულიაფ მონაწილეობა. ერეკლე მეორეს სწორედ ამ დროს გაუცვნია ისინი და დაუვალებია: რაზმი შეადგინეთ და არაგვის ხეობაში მტერი ცოცხალი არ გაუშვათო. ერეკლეს დავალებას ხამხაძე და ბოდაველი პირნათლად, ვაჟკაცურად ასრულებდნენ; მათ ბევრ ბრძოლაში გამოიჩინეს გმირობა.

ჩვენი ისტორიის წერილობით წყაროებში არც ხამხაძე იხსენიება და არც ბოდაველი, სამაგიეროდ, ხალხმა არ დაუკარგა გმირებს ამაგი და მათი სახელი ზეპირსიტყვიერების საშუალებით ჩვენამდე მოიტანა. ამ ორი მამულიშვილის საგმირო ამბები XIX საუკუნის ცნობილ მკვლევარსა და ეთნოგრაფს პ. ჭალელს (კარბელაშვილს) ჩაუწერია. აი, ორი გადმოცემაც:

ასოცი ლეკი სათარეშოდ ქართლისაკენ წამოვიდა და დასასვენებლად ზედაზნის მონასტრის ახლოს დაბანაკდა. ეს ამბავი მცხეთაში მყოფ გოგია ხამხაძეს შეატყობინეს. გოგიამ ხმალი ჩამოიკიდა, ლეკურად ჩაიცვა, რაზმს უთხრა, ჩემს შორიახლო იარეთო, და თვითონ დაუპატიჟებელი სტუმრებისაკენ გაემართა. მივიდა და წმინდა ლეკურით დაუწყო ლაპარაკი. უთხრა: რას იხოცებით გარეთ, აგერ, საყდარში ცეცხლი დავანთოთ და ქეიფი გავწიოთო. ლეკებს ეს აზრი ჭკუაში დაუჯდათ და მაშინვე საყდარში შეცვივდნენ. მერე, ლაპარაკში რომ გაერთნენ, გოგია გარეთ გამოვიდა, კარებში ჩადგა, ხმალი იშიშვლა და შესძახა: „გამოდით, თქვე გასაწყვეტლებო, თქვენაო“. რამდენიც გამოვიდა, ყველას თავები დააყრევინა. ბოლოს ასოცმტერს მარჯვენა სალოკი თითი მოსჭრა და მეფე ერეკლესთან მივიდა. იქ რიგიანად დაჯილდოვეს.

ერთხელ, ღამით, გოგია ხამხაძე და გივი ბოდაველი საგურამოს ტყეში ერთად მიდოდნენ. ველზე რომ გამოვიდნენ, მოთარეშე ლეკების სადგომი დაინახეს. ხუთასამდე იქნებოდნენ. შუაცეცხლი დაენთოთ. ცეცხლის პირას ერთი გუშაგი იჯდა, ძილი მორეოდა და თვლემდა. დანარჩენები ცოტა მოშორებით მხართეძოზე წამოწოლილიყვნენ და ეძინათ.

გოგია ხამხაძე და გივი ბოდაველი ერთმანეთს ხუმრობით ეჯიბრებოდნენ ხოლმე: არა მე გჯო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბივარ და არა მეო. ლეკები რომ შენიშნეს, ბოდაველმა ხამხაძეს უთხრა: „აბა, თუ გაიქცევი და იმ ცეცხლთან მჯდომარეს ცხვირს მოსჭრი, მერე ბიჭობას მე გაჩვენებო“. გოგია ღობეზე გადაფრინდა, ცეცხლთან მთვლემარე ლეკს ცხვირი უეცრად ძირში მოათალა და უკან გამოიქცა. „აქა ვარ ბიჭი გივი ბოდაველიო,“ — დაიძახა გივიმ, შევარდა ლეკების რაზმში და ხმლით კაფვა დაუწყო. გივის გოგიაც მიეშველა. ამასობაში კიდეც გათენდა. თურმე ერთი ლეკიც არ დარჩენილიყო ცოცხალი: დაფეთებულებს სიბნელეში ერთმანეთი ეხოცნათ.

ხამხაძე ცხრაჯერ მოიტაცეს ლეკებმა, მაგრამ გზაში საოცარი მოხერხებით გაიძრობდა ხოლმე ბორკილს, მომტაცებლებს დახოცავდა და შინ უვნებლად ბრუნდებოდა.

გოგიას ხმალი მის შვილებსა და შვილიშვილებს შენახული ჰქონდათ მცხეთაში.

ვახტანგ სიდამონიძე.

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი და ლენინგრადი ერთმანეთს საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული, მაგრამ დღეს ამ მანძილს თვითმფრინავი ტუ-104 სამ საათში ჰფარავს; საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური თბილისელ კაცს ლენინგრადში მყოფ მეგობართან თუ ახლობელთან სულ რაღაც ერთ წუთში დაალაპარაკებს.

გასული საუკუნის 60-იან წლებამდე კი პეტერბურგი (ახლანდელი ლენინგრადი) ქართველებისათვის შორეული ქალაქი იყო. იმ დროს პეტერბურგში ბევრი ქართველი სწავლობდა. ბუნებრივია, ქართველ სტუდენტებსა და მათს მშობლებს აინტერესებდათ ერთიმეორის ამბის გაგება, მაგრამ ამ ამბავს ისინი კარგა დაგვიანებით-ღა იგებდნენ: მაშინ ხომ არც თვითმფრინავი არსებობდა, არც ტელეფონი იყო გამოგონებული; პირველი რკინიგზაც საქართველოში (თბილისსა და ფოთს შორის) მხოლოდ 1872 წელს გაიხსნა. ყოველივე ამის გამო, პეტერბურგიდან გამოგზავნილი ჟურნალ-გაზეთები, წერილები და ამანათები თბილისამდე მხოლოდ სამი კვირის შემდეგ აღწევდა. რაც არ უნდა სასწრაფო ამბავი ჰქონოდათ ერთმანეთისათვის შესატყობინებელი, თბილისში და პეტერბურგში მყოფნი ერთმანეთს დეპეშას ვერ გაუგზავნიდნენ, რადგან იმხანად ამ ორ ქალაქს შორის ტელეგრაფის მავთული არ იყო გაბმული.

და აი, გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა გადაწყვიტა თბილისი პეტერბურგთან ტელეგრაფის ხაზით დაეკავშირებინა.

იქნებ ვინმეს გაუკვირდეს: სად პოეტი და სად სატელეგრაფო ხაზის მშენებლობაო?!

საქმე ის არის, რომ გრიგოლ ორბელიანი 1862-1863 წლებში კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობას ასრულებდა. სწორედ ამ დროს გადაწყვიტა მან საქართველოში ტელეგრაფის ხაზის გაყვანა. გრ. ორბელიანმა სპეციალისტებს დაავალა პროექტი წარმოედგინათ. მალე ერთ-ერთმა ინჟინერმა, გვარად პოსტელნიკოვმა, მთავარმართებელს მოხსენებითი ბარათი გადასცა საქართველოში ელექტრული ტელეგრაფის ფართოდ გამოყენების თაობაზე.

გრიგოლი ყურადღებით გაეცნო პროექტს.

— ეს ყველაფერი კარგია, — უთხრა ორბელიანმა ინჟინერს, — მაგრამ ერთი შენიშვნა მაქვს. რასაკვირველია, თბილისიდან ტელეგრაფის ხაზი ვლადიკავკაზამდე უნდა გავიყვანოთ. რაც შეეხება იმას, რომ ვლადიკავკაზიდან ხაზი ბაქოსაკენ გავაგრძელოთ, ამაზე ჯერჯერობით თავს ვიკავებ. ახლა მთელი სახსრები იმას უნდა მოვახმაროთ, რომ თბილისი რაც შეიძლება მალე დავუკავშიროთ პეტერბურგს.

ინჟინერი პოსტელნიკოვი კარგად მიუხვდა ორბელიანს და მაშინვე უპასუხა:

— თქვენ იმ აზრისა ბრძანდებით, რომ ტელეგრაფის ხაზმა ვლადიკავკაზიდან პირველად სტავროპოლისკენ გაუხვიოს, არა?

სწორედ ამას ფიქრობდა გრიგოლი და მან რუკაზე თბილისიდან პეტერბურგისაკენ მიმავალი ტელეგრაფის ხაზის ტრასა გახაზა. ფანქრის წვერი სტავროპოლთან შეაჩერა.

ძნელია ითქვას, რას ფიქრობდა იმ წუთებში პოეტი. იქნებ თბილისიდან პეტერბურგამდე 31 წლის წინანდელი თავისი პირველი მოგზაურობა გაახსენდა. სწორედ ამ გზის გაყოლებით უნდა გაიბას ტელეგრაფის მავთული. ანანური, ფასანაური, კაი? [illegible] გზა, ჯვრის მთის ბილიკები, ულელტეხილი, კობი, ყაზბეგი, ლარსი და დარიალი, ვლადიკავკაზი, სტავროპოლი. აქ უნდა მიაღწიოს ტელეგრაფის ხაზმა და მაშინ უკვე ადვილი იქნება პეტერბურგთან ტელეგრაფით დაკავშირება, რადგან პეტერბურგიდან უკვე არის გაბმული ხაზი როსტოვთან და ნოვოჩერკასკთან.

პოსტელნიკოვს კარგად დაემუშავებინა კავკასიონზე ტელეგრაფის ხაზის გაყვანის ყოველი წვრილმანი. კობის ხიდთან, სადაც ხშირად თოვლის ზვავები ფარავს გზას, მეტი ხიფათი მოელის ტელეგრაფის ბოძებს. ხომ არ შეიძლება რაიმე მოუხერხდეს ხაზს ამ უბანზე? პოსტელნიკოვი წინადადებას იძლეოდა ამ მონაკვეთზე, 3 ვერსის მანძილზე, ტელეგრაფის კაბელი, ბოძებზე გაბმის ნაცვლად, მიწაში ჩადებულიყო.

—კარგი აზრია! — მოუწონა გრიგოლმა.

სულ მალე, გრიგოლ ორბელიანის მითითებით, გზებისა და მშენებლობების სამმართველომ გერმანულ ფირმა „სიმენთან" ხელშეკრულება დადო თბილისიდან სტავროპოლამდე ტელეგრაფის ხაზის გაყვანის თაობაზე. მშენებლები დაუყოვნებლივ შეუდგნენ თბილისიდან ვლადიკავკაზის მიმართულებით ორმოების თხრას და ტელეგრაფის ბოძების ჩასმას.

გაოცებული შეჰყურებდა ხალხი საქართველოს სამხედრო გზის გაყოლებით აღმართულ ბოძებს და კითხულობდა მათს დანიშნულებას. დუშეთელმა გლეხებმაც გამოიჩინეს ცნობისმოყვარეობა და, როცა ყოველივე შეიტყვეს, გადაწყვიტეს ტელეგრაფის სადგური დუშეთშიც მოეწყოთ. „ჩვენგან შორს წასული ადამიანი ხომ უმალვე შეგვატყობინებს თავის ამბავსო". დუშეთელებმა ორთაბახიანი განცხადება დაწერეს და თბილისში თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს. გლეხების თხოვნა გრიგოლ ორბელიანთან მოხვდა, რომელმაც მაშინვე გასცა განკარგულება შეესწავლათ დუშეთში ტელეგრაფის გაყვანის საკითხი. როცა მოახსენეს, ტელეგრაფის დამატებითი ხაზის ასაგებად კიდევ 3000 მანეთია საჭიროო, გრიგოლი ერთ წუთსაც არ შეყოყმანებულა, — მთავრობის ხარჯებიდან გამოყავით თანხა და გლეხების თხოვნა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილეთო.

თბილისიდან ჩრდილოეთისაკენ წარმატებით გრძელდებოდა ტელეგრაფის ხაზის აგება. 1862 წლის 28 ოქტომბერს თბილისმა და ვლადიკავკაზმა პირველი დეპეშები გაცვალეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ხანში ვლადიკავკაზიდან ხაზმა სტავროპოლამდე მიაღწია და აქ დადგმულმა ტელეგრაფის აპარატმა ქაღალდის ლენტზე თბილისიდან გადმოცემული სიტყვები დაბეჭდა. ეს 1863 წელს მოხდა.

ტელეგრაფის მშენებლობას მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება ადევნებდა თვალყურს. თბილისსტავროპოლის ტელეგრაფის მშენებლობაზე განსაკუთრებით ხშირად ბეჭდავდა მასალებს გაზეთი „საქართველოს მოამბე", რომელსაც ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა. გაზეთი წერდა, ტელეგრაფით პეტერბურგთან თბილისის შეერთებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების საქმეში.

თბილისიდან ტელეგრაფის ხაზმა სტავროპოლს რომ მიაღწია, ნოვოჩერკასკამდე უკვე იყო მოყვანილი ტელეგრაფის ხაზი პეტერბურგიდან. საკმარისი იყო ნოვოჩერკასკი სტავროპოლთან დაეკავშირებინათ, რომ თბილის-პეტერბურგის ტელეგრაფი მთლიანად შესულიყო ექსპლოატაციაში, ამ პატარა მონაკვეთზე თბილისიდან პეტერბურგში გაგზავნილი დეპეშები ერთცხენიან ესტაფეტას გადაჰქონდა.

და აი, ამ უბანზეც გაიჭიმა საჰაერო მავთულები.

1863 წლის ივლისში თბილისმა და პეტერბურგმა პირველი დეპეშები გაუგზავნეს ერთმანეთს. ამოქმედდა საკმაოდ გრძელი სატელეგრაფო ხაზი, რომელიც თბილისიდან ვლადიკავკაზზე, პიატიგორსკზე, სტავროპოლზე, ნოვოჩერკასკზე გადიოდა, შემდეგ კი მოსკოვისა და პეტერბურგისკენ აგრძელებდა გზას.

ასე დასრულდა იმ დროისათვის უდიდესი ტექნიკური ღონისძიება — თბილისი-პეტერბურგის სატელეგრაფო ხაზის მშენებლობა. ყოველი განკარგულება, ბრძანება, მითითება, გადაწყვეტილება გრიგოლ ორბელიანს ეკუთვნოდა.

მაგრამ მოხერხებული კავშირგაბმულობის საშუალებით თბილისი მხოლოდ პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებს როდი დაუკავშირდა. იმ დროისათვის პეტერბურგს სატელეგრაფო კავშირი დამყარებული ჰქონდა ევროპის ქვეყნების დედაქალაქებთან. ამიტომ ბერლინში, პარიზში, ლონდონში, რომში საქართველოდანაც დაიწყო დეპეშების გადაცემა.

როცა ირანის დედაქალაქ თეირანის ხელისუფლებმა შეიტყვეს თბილისისა და პეტერბურგის ერთმანეთთან ტელეგრაფის ხაზით დაკავშირება, თეირანში რუსეთის ელჩს სთხოვეს შეხვედროდა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრსა და განათლების მინისტრს.

— გავიგეთ, რომ თბილისი და პეტერბურგი ერთმანეთს დეპეშებს უცვლიან, — უთხრა ელჩს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა. — თუ თქვენი მთავრობა დათანხმდება, რომ თბილისიდან ტელეგრაფის ხაზი სამხრეთით, ჯულფასთან მოიყვანოს, მაშინ ჩვენ ამ ხაზს თეირანიდან ჯულფასთან შევაერთებთ და საშუალება გვექნება დეპეშები თბილისში, ხოლო იქიდან პეტერბურგში გადავსცეთ.

რუსეთის ელჩს გაეღიმა და ირანის მინისტრებს უთხრა:

— ამ პროექტის განხორციელების შემდეგ თქვენ დეპეშებს მარტო თბილისში, მოსკოვში და პეტერბურგში კი არ გადასცემთ, არამედ — ევროპის ყველა ქალაქშიც.

ასეც მოხდა. 1865 წლის 5 თებერვალს თბილისი ტელეგრაფით თეირანს დაუკავშირდა და პეტერბურგში ირანიდან პირველი დეპეშა მიიღეს. ირანმა კავშირი დაამყარა ევროპასთან.

მაგრამ ამით როდი დამთავრდა ყველაფერი. თეირანიდან სპარსეთის ყურეს, პაკისტანის დედაქალაქ კარაჩის, ინდოეთის ქალაქ ბომბეის გავლით გაგრძელდა ტელეგრაფის ხაზის გაყვანა და თბილის-პეტერბურგის ხაზმა ერთმანეთთან დააკავშირა ევროპა და ინდოეთი. ლონდონიდან ბომბეიში დეპეშის გადაცემას უკვე 2-3 დღეღა სჭირდებოდა, მაშინ, როცა წინათ ლონდონიდან ბომბეიში რაიმე ამბის ჩატანას 44 დღე უნდებოდნენ.

ამის შემდეგ ავსტრალიის ხელისუფალთაც იფიქრეს: რა იქნება, რომ ბომბეიდან ავსტრალიამდე წყალქვეშა სატელეგრაფო კაბელი ავდოთ, მაშინ ხომ ჩვენც შევძლებთ დეპეშების მიღებას ინგლისიდანაც. დიდი შრომისა და ჯაფის შემდეგ დამყარდა სატელეგრაფო კავშირი ინდოეთსა და ავსტრალიას შორის. ლონდონიდან დეპეშა ჯერ ბერლინში და ვარშავაში მიდიოდა, მერე პეტერბურგსა და თბილისში. საქართველოდან დეპეშა თეირანისა და კარაჩისაკენ „მოგზაურობდა" და ბოლოს, ბომბეიზე გავლით, ავსტრალიაში ჩადიოდა.

მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა პირდაპირი წყალქვეშა სატელეგრაფო კაბელი ავსტალიასა და ამერიკას შორის. ამერიკას წყალქვეშა ტელეგრაფის კაბელი მხოლოდ ინგლისთან აერთებდა. ბომბეისა და ავსტრალიას შორის სატელეგრაფო კავშირი კაბელი ავსტრალიასა და ამერიკიდან დეპეშებს ავსტალიაში ისევ ჩვენთვის ნაცნობი გზით გადასცემდნენ: ნიუ-იორკი-ლონდონი-ბერლინი-ვარშავა -პეტერბურგი -თბილისი - თეირანი-კარაჩი-ბომბეი-ავსტრალია.

ამრიგად, დედამიწის 4 კონტინენტს შორის იმ დროისათვის ძალზე მოხერხებული კავშირი დამყარდა. თვეების ნაცვლად ადამიანები ერთმანეთის ამბებს რამდენიმე დღის შემდეგ იგებდნენ. გაზეთები დედამიწის ყველა კუთხეში უფრო საინტერესო გახდა.

ყველაფერი ეს კი ჩვენი სახელოვანი პოეტის გრიგოლ ორბელიანის მიერ წამოწყებული საქმის კეთილად დამთავრება იყო.

ანდრე ქარბელაშვილი.



გრიგოლ ჩიგვაიშვილი

სიტყვა თუ საჭვე?

მხატვარი
დ. ზარაფიშვილი.

იგავი

ერთ სახელმწიფოს მტერი მოადგა და აკლება დაუპირა. როგორც კი ამცნეს ეს ამბავი, მეფემ ნაზირ-ვეზირნი შეჰყარა სათათბიროდ. მეფის შემდეგ სიტყვა პირველ ვეზირს ეკუთვნოდა. ისიც ჩვეული მედიდურობით წამოდგა და მაღალფარდოვნად დაიწყო:

— დიდო ხელმწიფევ! ჩვენს პირისპირ დგას მტერი, რომელსაც მთელ ცისქვეშეთში ულმობელის სახელი აქვს გავარდნილი. იგი არც მხცოვანს დაინდობს და არც ჩვილს, არც მამრსა და არც მდედრს. იგი ამ ჩვენს ვარდივით აყვავებულ ქვეყანას გაავერანებს და უდაბნოდ გადააქცევს. ურიცხვია მტრის ლაშქარი. ვითარცა ზღვაში ქვიშანი და ცაში ვარსკვლავნი. მის დასამარცხებლად საჭიროა მამაცზე უმამაცესი გული. რკინაზე უმაგრესი აღნაგობა და ყოვლისმძლე იარაღი! ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს, მაგრამ. ვიდრე ხმალს ვიშიშვლებდეთ, ურ-

საზღვარზე

ბრიგოლ ვაისი

1917 წლის აგვისტოს ბოლოს, უკუნეთ სიბნელეში, ფინეთის საზღვრისკენ გზას მიიკვლევდა ოთხი მდუმარე მამაკაცი. კაცობრიობის ისტორიაში არავის შეხვედრია ესოდენ საპატიო ამოცანა, როგორიც სამ მათგანს — მუშებს შეხვდათ. ისინი უნდა გასხლტომოდნენ ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებულ დროებითი მთავრობის აგენტებს და ფინეთში გადაეყვანათ ადამიანი, რომელიც ორი თვის შემდეგ გაბედულად მოჯიდოდა ისტორიის საჭესთან და ახალი, ნათელი გზისკენ შემოაბრუნებდა მას. ეს ადამიანი დიდი ლენინი იყო.

გრ. ვაისი (მწერლის ნამდვილი გვარია ვაისპაპენი) ამ წიგნში გვიცნობს ადამიანებს, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ოქტომბრის რევოლუციის მომზადებაში.

რუსული ხასიათი

ალექსეი ტოლსტოი

გამოჩენილი საბჭოთა მწერალი ალექსეი ტოლსტოი დიდი სამამულო ომის დღეებში, მგზნებარე სტატიებითა და გამოსვლებით, ჩვენს სახელოვან მეომრებს მხარში ედგა და გმირული სულისკვეთებით აღაფრთოვანებდა. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი შესანიშნავი მოთხრობები „ივანე სუდარევის ნაამბობი“, „კატია“, „დედა და შვილი“. მწერალი მთელი სიმართლით აგვიწერს სამამულო ომის საშინელ ეპიზოდებს, ჩვენი ხალხის პატრიოტიზმს.

ცხრა მთას იქით, შორეთში

იური კორინეცი

ამ მოთხრობის გმირს, რვა წლის მიშას, ბედმა გაუღიმა: მას ჰყავს ბიძა! ბიძა სხვასაც ბევრსა ჰყავსო, იტყვით თქვენ. მაგრამ საქმე ის არის, რომ მიშას ბიძა საოცარზე საოცარი კაცია. იგი დიდი რომანტიკოსი და მეოცნებეა. ცხოვრების

ჯულოების შესამუსრად, ზედმიწევნითი სიზუსტით უნდა ავწონ-დავწონოთ შექმნილი მდგომარეობა.

პირველმა ვეზირმა იმდენი ილაპარაკა ბრძოლის სხვადასხვა ხერხებზე, საგმირო მაგალითებზე და იმდენი ქნა, მეფეს ხმამაღლა ათქმევინა: „აი, კაცი — უბადლო ენამჭევრი და ყოველმხრივ განსწავლულიო“.

პირველი ვეზირის ლაპარაკში ნახევარი დღე გავიდა.

— შენ რაღას იტყვიო? — მიმართა მეფემ მეორე ვეზირს.

— მტერი უნდა განადგურდეს, ოღონდ, როგორ — ამას ბრძოლის ველი დაგვანახვებსო, — მიუგო მეორე ვეზირმა და დადუმდა.

მეფეს არ მოეწონა მისი პასუხი.

— სადაც დიდი აზრი არ არსებობს, იქ დიდი საქმე არ გაკეთდებაო, — თქვა მან და მთელი ჯარის სარდლად პირველი ვეზირი დანიშნა, მეორე ვეზირს კი მცირერიცხოვანი ლაშქარი ჩააბარა.

გავიდნენ ბრძოლის ველზე.

სარდალი ჩამწკრივებულ ჯარის წინ გამოვიდა და მეომრებს ვრცელი, ლამაზი სიტყვით მიმართა.

მაგრამ დაიწყო თუ არა ბრძოლა, მისი ჯარი პირველსავე შეტაკებაში იძლია და მტრის მოიერიშე რაზმებს კინაღამ მეფე ტყვედ ჩაუვარდათ.

მეორე ვეზირი ამ დროს მაღლობიდან დასცქეროდა ბრძოლის ასპარეზს და გამჭრიახი გონებით აკვირდებოდა ყოველივეს. შემდეგ მან თავისი ლაშქარი სამად გაყო. ერთ რაზმს ციცაბო ხეობაში მტრის შეტყუება დაავალა, მეორეს ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილას ჩასაფრება უბრძანა, თვითონ კი მესამე რაზმს გაუძღვა, რომ მომხდურს ზურგიდან ღასხმოდა.

მართლაც მტერი შეიტყუეს ხეობაში, ყოველი მხრიდან ეკვეთნენ და სასტიკად დაამარცხეს.

გახარებულმა მეფემ თავისთან იხმო მეორე ვეზირი და ყველას გასაგონად უთხრა:

— არ მეგონა, ბევრის მოლაპარაკეს ცოტას მთქმელი თუ აჯობებდაო.

უბოძა ვეზირთ-ვეზირობა და მთავარსარდლადაც ის დანიშნა.

გრძელი და რთული გზა აქვს გავლილი. ვინ იცის, რა არ უნახავს, რას არ მოსწრებია, მის თავზე წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა, თორემ სხვა არაფერი დაჰკლებია.

ბიძა მთელი სამყაროა ბიჭისათვის, იგი მამაცობის, ერთგულების, პატიოსნებისა და ნიჭიერების განსახიერებაა. მას ყველაფერი ეხერხება, მარჯვე ხელი აქვს, დიდი მონადირეც არის და თევზაობის ყველა საიდუმლოს მცოდნეც.

მოთხრობა ოცდაათიანი წლების ამბებს ეხება. წაიკითხავთ ახლანდელი თაობის ბავშვები ამ წიგნს და ჩაუფიქრდებით, რას ნიშნავს თაობათა მონაცვლეობა, ჩაუფიქრდებით საკუთარ თავს, იმას, თუ როგორები უნდა იყვნეთ დიდობაში, როცა მამებისა და პაპების დანატოვარს, დიდი შრომითა და ჯაფით აშენებულ ქვეყანას გადაიბარებთ.

კალე ბლუმკვისტი თამაშობს

ასტიდ ლინდგრენი

რა ამბავია, რა მოხდა? რამ დაარღვია მყუდროება შვეციის ერთ პატარა ქალაქში, სადაც ცხოვრობენ ამ წიგნის გმირები — კალე ბლუმკვისტი, ევა-ლოტა და მათი ცელქი მეგობრები? ერთიმეორეზე მიყოლებით მოხდა ორი გაუგონარი ამბავი, რომლის ცენტრშიც ბავშვები აღმოჩნდნენ.

თანამედროვე შვედი მწერალი, ასტიდ ლინდგრენი ამ წიგნში სიყვარულით გვიხატავს ფანტაზიორ ბიჭუნა კალესა და მისი მეგობრების საინტერესო, საიდუმლოებით სავსე თავგადასავალს. ა. ლინდგრენი თავის გმირებს კეთილი საქმეებისაკენ მოუწოდებს, ამავე დროს ცდილობს დაანახვოს მათ ცხოვრების კარგი მხარეც. კალე ბლუმკვისტი, ევა-ლოტა, ანდერსი და სხვები დიდი ხანია სხვადასხვა ქვეყნის ბავშვების მეგობრები არიან.

იმედია, მათ თქვენც შეიყვარებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვეობაში თურმე მეტ ხანს ცოცხლობენ

მთელი მსოფლიოს ორნითოლოგები რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სწავლობდნენ ფრინველთა სიცოცხლის ხანგრძლიობას. ამჟამად უკვე შეიძლება საკმაოდ ზუსტად დადგინდეს საშუალოდ რამდენ ხანს ცოცხლობს ესა თუ ის ფრინველი. აღმოჩნდა, რომ თავისუფლად მცხოვრები ფრინველი უფრო ადრე კვდება, ვიდრე ტყვეობაში მყოფი. მაგალითად, თავისუფალი ყარყატი საშუალოდ 19 წელიწადს ცოცხლობს, ზოოპარკში კი ყარყატები 30 წლამდე სძლებენ.

ამჟამად ყველაზე ხნიერი ფრინველია ჰამბურგის ზოოპარკის ჭოტი. მას 70 წელი შეუსრულდა.

პატარა, მგალობელი ფრინველების საშუალო ხნოვანება 10 წელიწადს იშვიათად თუ გადასცდება.

მეკობრეები ჩვენს დროში?!

„გუშინ ფილიპინების ნავსადგურ მალისტაში მეკობრეთა ხომალდი შეიჭრა! მეკობრეებმა უკუაქციეს პოლიციელები და სულ რაღაც ორ საათში გაძარცვეს ახლომახლო მდებარე სახლები და მაღაზიები...“

ხომ არა გგონიათ, ძველ ამბავზე იყოს აქ ლაპარაკი! ეს ცნობა ლონდონის პოპულარულ გაზეთ „ტაიმსში“ ზუსტად ერთი წლის წინათ — 1968 წლის იანვარში გამოქვეყნდა.

მთა ჰოლანდიაში

მთა ჰოლანდიაშიო?! — გაიკვირვებს მკითხველი, — ამ ქვეყანას ხომ ნიდერლანდები, ესე იგი „დაბლობი ადგილი“ ჰქვია, იგი ხომ ერთი მთლიანი ვაკეა, ალაგ-ალაგ ზღვის დონეზე დაბალიც კი.

დიახ, ეს ასეა და სწორედ ამიტომ არის,

რომ ჰოლანდიელებს განსაკუთრებულად უყვართ თავიანთი ქვეყნის ერთადერთი „მწვერვალი“ — 48 მეტრი სიმაღლის გორა, რომელსაც „მინი-ალპი“ (პატარა ალპები) შეარქვეს.

სურნელოვანი კედლები

ირანის უძველეს ქალაქ თავრიზში არის სურნელოვანი მეჩეთი. მისი კედლები აშენებულია თიხისაგან, რომლისთვისაც მუშკი შეურევიათ. და ახლაც კი, 600 წლის შემდეგ, კედლები კვლავ საამო სურნელებას აფრქვევს.

ერთ ადგილას სდიჟრობენ

როცა სადმე წავიკითხავთ ან გავიგონებთ, ამა და ამ ადგილას სტიქიური კატასტროფა მოხდაო, რატომღაც დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ სხვაგან მოხდეს, ჩვენ კი ამ მხრივ საშიშროება არ გველის. ალბათ ასე ფიქრობდნენ კარიბის ზღვაში მდებარე კუნძულ მარტინიკის ერთ-ერთი ქალაქის — სენ-პიერის მცხოვრებნიც 1905 წლის აპრილში, როცა ქალაქის თავთან აღმართულ მთაზე ვულკანმა მოულოდნელად გაიღვიძა. პირველ ხანებში ისინი ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ, ცის ფონზე როგორ ბოლავდა გოლიათი მთა, შემდეგ კი მისთვის ყურადღებაც არ მიუქცევიათ. და აი 7 მაისის ღამით ვულკანის ნათებამ ქალაქი რამდენიმეჯერ დღესავით გააკაშკაშა. ეს უკანასკნელი გაფრთხილების ნიშანი იყო. მაგრამ 30.000 მცხოვრებიდან მხოლოდ ერთი კაცი შეაშფოთა ამ ამბავმა. დილის შვიდ საათზე, ბარომეტრს რომ შეხედა, ფერდინანდ კლერკმა დაინახა, როგორ ამსხვრევდა ისარი მინას. მან მაშინვე შეაბა ცხენები ოთხთვალაში და, თავის ჯალაბთან ერთად, მეზობლების დამცინავ ძახილში, იქაურობას გაეცალა. რვას ათი წუთი უკლდა, როცა კლერკმა გორაზე ოთხთვალა გააჩერა და ქალაქს გადმოხედა. დანარჩენი ყოველივე თვალისდახამხამებაში მოხდა. უეცრად ვულკანის ის მხარე, რომელიც ქალაქისაკენ იყო მიქცეული, გიგანტური ცეცხლის კარივით გაიხსნა, იქიდან შავი ღრუბელი გადმოსცდა და ღრიალით თავქვე დაეშვა. სულ რამდენიმე წამში ეს ღრუბელი — თუხთუხა ლავა მთელ ქალაქს უზარმაზარი საბანივით გადაეფარა. ქალაქში დარჩენილები ისე დაიღუპნენ, არამც თუ საფრთხის მოახლოება, შეშინებაც კი ვერ მოასწრეს.

მეორე ვულკანი, კუნძულ იავაზე, თითქმის ათასი წელიწადი დუმდა. აბა რას იფიქრებდნენ მის კალთებზე მოსახლენი, რომ ამდენი ხნის შემდეგ დადგებოდა დღე, როცა თავის საშველად სახლებიდან გაქცევა მო-



შავი მდინარე

ამერიკელი მეცნიერის კ. ულიამსის გამოკვლევის თანახმად, მდინარე რიო-ნეგროს აუზში ძალზე ცოტაა მწერები. საქმე ის არის, რომ რიო-ნეგროს წყალი ინსექტიციდებს — მავნებელი მწერების მომსპობ ქიმიურ ნივთიერებებს, შხამებს შეიცავს. საერთოდ, ამ წყალში მრავალი მცენარეული წარმოშობის ნივთიერებაა გახსნილი. სწორედ ეს აძლევს მდინარეს შავ ფერს. თვით სახელწოდებაც — „რიო-ნეგრო" შავ მდინარეს ნიშნავს.

ყველაზე მაღალი ჩანჩქერი

ბრიტანეთის გვიანის ტროპიკულ ჯუნგლებში აღმოაჩინეს ჩანჩქერი, რომლის სიმაღლე 230 მეტრს აღწევს. იგი ცნობილ ნიაგარის ჩანჩქერთან შედარებით 108 მეტრით მაღალია.

მოცურავე კატები

ვანური კატები თევზებს არ იჭერენ, სამაგიეროდ, წვრილ თევზებსა და მოლუსკებს მადიანად შეექცევიან. მათ არ უყვართ მზეზე წოლა, მაგრამ რამდენიმე საათი სიცივეში ნებით ბანაობენ და ჩინებულად ცურავენ, მეტ წილ დროს წყალში ატარებენ, დასასვენებლადაც წყალშივე რჩებიან.

ეს ლამაზი, თეთრი კატები მხოლოდ თურქეთში, ვანის ტბის ნაპირებზე ბინადრობენ, ამიტომაც უწოდებენ მათ ვანურ, მოცურავე კატებს.

ბატები ღამის დარაჯებად

შოტლანდიის ერთ-ერთი ფაბრიკის საწყობებს ღამის დარაჯებად სამოცდაათი ბატი ჰყავს მიჩენილი. ფრთოსანი დარაჯები თავგამოდებით გუშაგობენ მიბარებულ ქონებას: როგორც კი ვინმე მიუახლოვდება საწყობებს, ბატები მაშინვე ჯოჯოხეთურ გნიასს ასტეხენ ხოლმე.

უწევდათ! ეს იყო 1883 წელს. ვულკანი კრაკატაუ გამოცოცხლდა და ამ გამოცოცხლებას აფეთქება მოჰყვა. ამ აფეთქების ძალა 1000 წყალბადის ბომბის აფეთქებას უდრიდა, ხოლო ჰაერის ტალღამ სამჯერ შემოურბინა დედამიწას.

კამჩატკაზე მდებარე ბეზიმიანაია სოპკას ვულკანსაც დიდი ხნის განმავლობაში ჩამქრალ ვულკანად სთვლიდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მოსაზრება მცდარი ყოფილა. 1955 წელს ვულკანი ამოქმედდა. მან ჯერ 45 კილომეტრ სიმაღლეზე ამოაფრქვია ფერფლისა და გაზების ღრუბელი, შემდეგ კი ვეება ქვების ამოტყორცნა დაიწყო, რომლებიც საშინელი სისწრაფით (წამში 500-600 მეტრი) მიჰქროდნენ მაღლა.

ამჟამად 700 მოქმედი ვულკანია აღნუსხული, მაგრამ ეს სია არ შეიძლება სრულ სიად ჩავთვალოთ: ყოველდღეა მოსალოდნელი მასში ახალი სახელის გაჩენა. ვულკანებს ჩვეულებად არა აქვთ წინასწარ გაგვაფრთხილონ როდის ამოხეთქავენ დედამიწის ზედაპირზე!

მიწისძვრა ვულკანებზე ნაკლებ საშინელი როდია. არათუ წელიწადი, დღე და საათი არ გავა, ჩვენი პლანეტა ხან ერთ, ხან მეორე ადგილას რომ არ შეარყიოს მიწისქვეშა ბიძგებმა. დედამიწაზე წელიწადში საშუალოდ ასი-ათასჯერ ხდება მიწისძვრა, რომლის ერთად აღებული ენერგია ხიროსიმაზე ჩამოგდებული ატომური ბომბებისოდენა მილიარდი ბომბის ძალას აღემატება.

მიწისძვრაც, ვულკანის ამოქმედების მსგავსად, მეტწილად მოულოდნელად ხდება. ზოგჯერ, ნგრევასთან ერთად, მიწის ზედაპირიც სკდება. 1906 წელს კალიფორნიაში მიწისძვრის დროს გაჩენილი ნაპრალი თითქმის 450 კილომეტრზე გაიჭიმა. 1957 წელს მონღოლეთის მიწისძვრამ 40-60 მეტრ სიღრმეზე დახეთქა მიწა. 1868 წელს კალიფორნიის მიწისძვრის დროს ასეთ ნაპრალებში შენობები და ქუჩებიც კი ჩაინთქა, თანაც ზოგიერთმა ნაპრალმა მაშინვე პირი მოიკრა და სამუდამოდ ჩამარხა თავისი ნადავლი. ცნობილია შემთხვევები, ნაპრალებში ქალაქებიც რომ ჩაქცეულა. სწორედ ასეთი ბედი ეწია ქალაქებს — კატაგანას (სამხრეთ ამერიკა) და ონლაგას (მცირე აზია). ორივე ამ ქალაქის ადგილას ტბა გაჩნდა.

ზოგჯერ შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ სტიქიური უბედურებები მზარდი მრუდე ხაზით ვრცელდება. ჯერ შეწყვეტილიც კი არ იყო მეხიკოს მიწისძვრის გუგუნი, რომ ჩილეში 1930 წელს საშინელი მიწისძვრა მოხდა. მას, 1964 წელს, ალიასკის მიწისძვრა მოჰყვა, რომლის სეისმურმა ტალღებმაც რვაჯერ შემოურბინა დედამიწას და 18 საათის განმავლობაში არყევდა ჩვენს პლანეტას.

სტიქიურ კატასტროფებთან დაკავშირებული ბევრი მოვლენა მეცნიერებას ჯერჯერობით ვერ ამოუხსნია. რატომ არის, მაგალითად, რომ ზოგიერთი ცხოველი, ფრინველი და თევზი წინასწარ გრძნობს მიწისძვრის მოახლოებას, მაშინ, როცა ვერცერთი, ყველაზე მგრძნობიარე სეისმური ხელსაწყოც კი ვერ აღნიშნავს ამ უმცირეს რხევას? ამ კითხვასა და სხვა მსგავს კითხვებზე მეცნიერება ალბათ ოდესმე გასცემს პასუხს.

ა. გორბოვსკი.

„ნედელია"

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სტუმართმოყვარე“ ხე

ქობულეთის რაიონში, ციხისძირის მახლობლად, ზედ ზღვის ნაპირზე შეგიძლიათ იხილოთ ბუნების საოცრება: პალმის კენწეროზე არხეინად მოკალათებულა ფიჭვი, რომლის სიმაღლეც ორ მეტრს აჭარბებს.

ცხადია, იმ ფრინველს, რომელსაც ფიჭვის გირჩი მიჰქონდა და პალმის წვერზე თესლი ჩამოუვარდა, ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ შემდგომ იქ ფიჭვი აღმოცენდებოდა და იქაურობას მედიდურად გადახედავდა.

სოხუმში კი, მშვიდობის პროსპექტზე, პალმა მის მხრებზე ამოსულ ლეღვის ხეს „მასპინძლობს“. ეტყობა, ამ „სტუმარ-მასპინძლობის“ თაოსანიც ფრინველია, რომელმაც ლეღვის მწიფე ნაყოფით პირი ჩაიგემრიელა, ნისკარტი კი პალმაზე გაიწმინდა.

ორივე შემთხვევაში „მასპინძელი“ ფინიკის პალმა გახლავთ. იგი გავრცელებულია ინდოეთში, ფილიპინის კუნძულებზე, ინდონეზიაში, ცეილონზე, აფრიკაში, წყნარი ოკეანის კუნძულებზე, სამხრეთ ამერიკაში, ყირიმში, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებზე; ზღვის დონიდან 750 მეტრამდე სიმაღლეზე გვხვდება, 10-25 მეტრი სიმაღლისა იზრდება.

ფინიკის პალმის ახალმოკრეფილი ნაყოფი 4,5 პროცენტ შაქარსა და 3,5 პროცენტამდე გლუკოზას შეიცავს, მის გამშრალ ნაყოფში კი 60-67 პროცენტი ზეთია. ეს ზეთი უფერულია, სასიამოვნო სუნი და გემო აქვს, ფართოდ გამოიყენება კულინარიაში, აგრეთვე საპნისა და სანთლის წარმოებაში.

ვიდრე გაიშლებოდეს, თანაყვავილედს ღეროზე სჭრიან. მონაჭერ ადგილიდან წვენი გადმოდის, რომელიც 14,6 პროცენტამდე შაქარს შეიცავს. წვენს ან ააორთქლებენ, რის შედეგადაც პალმის კრისტალურ შაქარს იღებენ, ანდა ნელი დუღილით ღვინოს აყენებენ.

ღეროსაგან ნავებს აკეთებენ, ღობის მასალადაც იყენებენ. ფოთლებისაგან წნავენ კალათებს, ქალის და მამაკაცის შლაპებს, ბაგირებს, ხმარობენ სახლის სახურავად, ცოცხებად...

ფინიკის პალმის პლანტაციებს ზღვის პირას აშენებენ. ზღვიდან 6-8 კილომეტრზე უფრო შორს ან ძნელად ხარობს და ნაყოფს არ იძლევა, ან სულ იღუპება.

ფინიკის პალმა, ჩვეულებრივ, მწიფე ნაყოფი წყალში რომ ჩაუვარდეს, ზღვისაკენ არის გადახრილი. ნაყოფი დაფარულია „საცურაო ქსოვილით“, ზეთის დიდი რაოდენობით შემცველობის გამო წყალში არ იძირება, შეგუებულია „ზღვით მოგზაურობას“. ნაპირზე რომ გამოირიყება, ნიადაგში გაღვივებას იწყებს. ჩანასახი ყოველთვის უზრუნველყოფილია აღმოცენებისათვის საჭირო წყლით.

გ. ღათუაშვილი.

შურისძიებაც ამას ჰქვია!

ეს ამბავი ასე მოხდა.

მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის ვინაობის დასადგენად 1896 წელს პეტერბურგში იმდროინდელი გამოჩენილი 5 დიდოსტატის მატჩ-ტურნირი მოეწყო. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს ახალგაზრდა ჩემპიონის ემანუილ ლასკერის სიძლიერე საჭადრაკო საზოგადოებრიობას საეჭვოდ მიაჩნდა. მით უმეტეს, რომ XIX საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო ტურნირში (ჰასტინგსი, 1895 წ.) მან მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე გამოვიდა 22 წლის უცნობი ამერიკელი ჰარი პილსბერი, რომლის წარმატება სასიამოვნო მოულოდნელობა იყო.

მატჩ-ტურნირში ლასკერმა იშვიათი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და პირველი ადგილიც დაიკავა. წარმატებას მხოლოდ ის აყენებდა ჩრდილს, რომ მან წააგო მატჩი პილსბერთან. თავის დასამშვიდებლად ლასკერს ისღა რჩებოდა, რომ ერთი პარტია მაინც მოუგო ამერიკელს კარგ სტილში. ამ პარტიამ მსოფლიოს პრესა შემოიარა.

აი, ეს, მართლაც მარად უჭკნობი პარტია:

პილსბერი — ლასკერი

ლაზიერის გამგიტი

1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 მf6 4. მf3 c5 5. კg5 cd 6. ლ:d4 მc6 7. ლh4 კe7 8. 0-0-0 ლa5 9. e3 კd7 10. მფb1 h6.

ლასკერი აიძულებს მეტოქეს გაცვალოს შავი კუ, ან ლაზიერი მიაჯაჭვოს იმ ადგილს, სადაც არის.

11. cd ed 12. მd4 0-0 13. კ:f6 კ:f6 14. ლh5 მ:d4 15. ed კe6 16. f4.

როცა მეტოქენი როქს სხვადასხვა მხარეს აკეთებენ, ინიციატივას მუდამ ის ეუფლება, ვინც ადრე დაიწყებს შეტევას. ჩვეულებრივ, ასეთი პარტიები დაძაბულად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაშიც ასეა.

16. ... ეac8 17. f5.



17. ... ე:c3!

ბრწყინვალე კომბინაციაა. ლასკერი ხსნის ხაზებს თეთრი ^ ფის დასალაშქრავად.

18. fe.

როგორც სპეციალისტთა გულდასმითი ანალიზები ცხადყოფს, 18. bc ლ:c3-ის შემდეგ თეთრებს ცუდი მდგომარეობა აქვთ. აი, მაგალითად, I. 19. fe ლb4+ 20. მფa1 ეc8 21. ლg4 ეc2; 20. მფc2 ეc8 + 21. მფd3 ლ:d4+ 22. მფe2 ეc2+. II. 19. ლf3 ლ:f3 20. gf კ:f5+ 21. კd3 კh3. თეთრი პაიკების სისუსტის გამო შავებს მოგების შანსი აქვთ.

18. ... ეa3!

კვლავ ლამაზი სვლა. ახლა არ შეიძლება 19. e7 ეe8 20. ba ლb6+ 21. მფc2 (თუ 21. მფa1, მაშინ იგებს 21. ... კ:d4+) 21. ... ეc8+ 22. მფd2 კ:d4 მოგებით.

19. ef+ ე:f7 20. ba ლb6+ 21. კb5

სხვა გზა არ იყო. სწრაფად აგებდა 21. მფc2 ეc7+ 22. მფd2 ლ:d4+.

21. ... ლ:b5+ 22. მფa1 ეc7?

ადვილად იგებდა 22. ... ლc4, რომლის შემდეგ შეუძლებელი გახლდათ 23. ეd2, 23. ... ლc3+ გამო. შეცდომა ცაიტნოტის ბრალია. ახლა პილსბერს შეეძლო ყაიმისთვის ებრძოლა.

23. ეd2 ეc4 24. ეhd1 ეc3 25. ლf5 ლc4 26. მფb2?

აი აქ იყო ყაიმისკენ მიმავალი გზა: 26. მფb1 ე:a3 27. ლc2 ეc3 28. ლb2 b5! 29. ეc2! (და არა 29. ეc1. ე:c1+ 30. ლ:c1 ლ:c1 + 31. მფ:c1 კg5 გამო) 29. ...კ:d4 30. ე:c3 კ:c3 31. ლb3 ლe4 + და ყაიმი მუდმივი ქიშით, ვინაიდან 32. მფc1-ს მოჰყვება 32. ...კd4.

ახლა პარტიის ბედი გადაწყვეტილია.

26. ... ე:a3 27. ლe6+ მფh7 28. მფ:a3 ლc3+ 29. მფa4 b5+ 30. მფ:b5 ლc4+ 31. მფa5 კd8+

პილსბერი დანებდა შემდეგ სვლახე შამათის გამო.

ამ წაგებამ მოსვენება დაუკარგა პილსბერს. იგი შურისძიებით აღივსო, ხშირად გულდასმით აანალიზებდა ამ პარტიას, შეცდომას ეძებდა. ბოლოს გამოარკვია, რომ წაგების მიზეზი დებიუტში დაშვებული უზუსტობა იყო. მე-7 სვლაზე კუ მხედარში უნდა გაეცვალა და იერიშსაც თავად მიიღებდა.

როგორ გადავუხადო სამაგიერო ლასკერს, — ფიქრობდა პილსბერი, — გამოვაქვეყნო ანალიზი გაზეთსა ან ჟურნალში?.. არა. გავანდო რომელიმე დიდოსტატს, რომელსაც ლასკერთან თამაში მოუწევს? ესეც მიუღებელია. ბოლოს გადაწყვიტა თავად „გასწორებოდა“ ლასკერს. მაგრამ როდის? რამდენ ხანს უნდა ეცადა ხელსაყრელი მომენტისათვის? და პილსბერს... 9 წლის ლოდინი დასჭირდა. რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში ისინი ხვდებოდნენ ერთმანეთს ტურნირებში, მაგრამ ლასკერი არცერთხელ არ აჰყვა მას ამ ვარიანტში.

და აი, კემბრიჯ-სპრინგსის 1904 წლის საერთაშორისო ტურნირში მათი შეხვედრა ლაზიერის გამბიტით დაიწყო. ამერიკელი ვერ მალავს კმაყოფილებას. იგი იღიმება და დიდი ხნით ჩაჰკირკიტებს პოზიციას. ჰარი იხსენებს თავის ანალიზს.

ამ დროს პილსბერი აღარ არის იმედებით აღჭურვილი ყმაწვილი. მოჭადრაკე პროფესიონალის მძიმე ცხოვრებამ დააკნინა მისი უბადლო ნიჭი, თავადაც დაავადმყოფდა ტურნირებში ხშირი გამოსვლებით, დაფაზე დაუხედავად ერთდროული თამაშის სეანსების ჩატარებით. ორი წლის შემდეგ, 1906 წელს, იგი კიდეც გარდაიცვალა, ამიტომ უკვე საქვეყნოდ აღიარებულ მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრას ჰარიმ უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა. ეს იყო მისი „გედის სიმღერა“. მან ბრძოლას მთელი თავისი ხელოვნება და ჭადრაკისადმი დაუოკებელი სიყვარული ჩააქსოვა.

აი, პარტიაც:

პილსბერი — ლასკერი
ლაზიერის გამბიტი

1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 მf6 4. მf3 c5 5. კg5 cd 6. ლ:d4 მc6 7. კ:f6

პილსბერი აკეთებს 9 წლის წინათ მომზადებულ სვლას, რომელიც თავიდანვე უპირატესობას აძლევს.

7. ... gf 8. ლh4 dc 9. ეad1 კd7 10. e3 მe5?

შეცდომაა. ირღვევა შავების წყობა. ორი კუ, რაც ჩვეულებრივ უპირატესობად ითვლება, ამ შემთხვევაში უმოქმედო აღმოჩნდა.

11. მ:e5 fe 12. ლ:c4 ლb6 13. კe2! ლ:b2

გაბედული სვლაა. შავების პოზიციაში საკმაოდ ბევრი სისუსტეა საჭირო იყო მათი უვნებელყოფა. პილსბერი ოსტატურად ქარგავს იერიშს.

14. 0-0 ეc8 15. ლd3 ეc7 16. მe4 კe7 17. მd6+ მფf8 18. მc4

ცენტრში დაყოვნებული მეფე თავდამსხმელისათვის შესანიშნავი მიზანია. პილსბერიც, იერიშის დიდი მოყვარული, არ აყოვნებს გვირგვინოსნის ხელყოფას.

18. ... ლb5 19. f4 ef. 20. ლd4! f6 21. ლ:f4 ლc5 22. მe5 კe8 23. მg4 f5 24. ლh6+ მფf7.



ლასკერის მეფე უხეიროდაა გაჩხერილი ცენტრში. პილსბერი აგნებს იერიშის გონებამახვილურ გზას.

25. კc4!

შეიძლებოდა აგრეთვე 25. ე:f5+ ef 26. კc4+ მოგებით.

25. ... ეc6

ცხადია, კუს აყვანას 26. მe5+ მოჰყვებოდა.

26. ე:f5+! ლ:f5 27. ეf1 ლ:f1+ 28. მფ:f1 კd7 29. ლh5+ მფg8 30. მe5.

ლასკერი დანებდა.

საჭადრაკო სამყარო აღფრთოვანებით შეხვდა ამ შედეგს. მსოფლიო ჩემპიონისთვის ასე ლამაზად არავის არ მოუგია. საგანგებო ჟიურიმ ლამაზი თამაშისათვის პილსბერი პრიზით დააჯილდოვა. იგი მართლაც არ ჩამოუვარდება ლასკერის მოგებულ პარტიას.

შურისძიებაც ამას ჰქვია!



კინოგადამღები კამერის — „სპორტის“ მფლობელებს შეგიძლიათ უმალვე ნახოთ თქვენს მიერ გადაღებული ფილმი ისე, რომ არ დაგჭირდეთ სამონტაჟო მაგიდა და კინოპროექტორი.

კამერიდან პლასტიკური ზამბარა ამოიღეთ და დანარჩენი ადგილზე მიამაგრეთ, რომ არ იქანაოს, კამერის ობიექტივსაც რეზინის რგოლი ჩა-



მოაცვით (აფთიაქებში წამლის შეფუთვისას რომ ხმარობენ, ისეთი), კოჭი მოხსენით, გასასინჯი ფირი მიმღებზე გადაახვიეთ.

„სპორტი“ 2×8 სმ ფირით აღჭურვეთ. დააყენეთ დიაფრაგმა 2,8-ზე, ამშვებ ღილაკს თითი დააჭირეთ და შუქზე მიშვერილი ობიექტივიდან გასინჯეთ ახალი ფილმის კადრები.

ბეწვახერხით თერმოპლასტიკური პლასტმასის გახეხვას ტყუილად ეცდებით: ხახუნით გადახურებული ბეწვახერხი გაადნობს პლასტმასას და ზედ მიეწებება.

პლასტმასის ზედაპირს წაუსვით საკერავი მანქანის ზეთი და... ხერხი შეუფერხებლად იმუშავებს.



მტვერსასრუტ „სატურნს“ ბევრ ღირსებასთან ერთად მნიშვნელოვანი ნაკლიცა აქვს. ეს არის ჯაგრისის პლასტმასის სამაგრი, რომელიც მალე ტყდება. მას ამორტიზატორი არ გააჩნია და სუსტ დარტყმასაც ვერ უძლებს. გაიკეთეთ ბოლოებზე ხრახნებიანი, ორღერძიანი ამორტიზატორი. იშოვნეთ და ჩამოაცვით ზედ 1-2 კგ ძალის ზამბარა და მორჩა, ახალი ჯაგრისის სამაგრი მტვერსასრუტს სიცოცხლეს დაუბრუნებს.

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

თ. ბიბილური — სიმღერა წასულ ჭაბუკზე (ნარკვევი) გარეკ. 2
გ. სანადირაძე — სინაზე (მოთხრობა) . . . 4
ნ. კილასონია — თებერვალს გაუმარჯოს (ლექსი) 5
გ. მზარელუა — „აყვავდი, ტურფა ქვეყანავ“ (ნარკვევი) 6
ლ. სულაბერიძე — ბალადა სამოსანი ბიჭისა (ლექსი) 9
ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო . . . 11
ე. ბუხრაშვილი — ქართული ეროვნული ტანსაცმელი (წერილი) 12
ა. ბელი — წყალქვეშა ნავის კაპიტანი (მოთხრობა, თარგმნა ქ. ჭილაშვილმა) . . . 15
ლ. ჭიჭინაძე — საბავშვო მწერლობის მოამაგენი (წერილი) 18
ჩვენი წარსულიდან 23
ა. კარბელაშვილი — თბილისი-პეტერბურგი (წერილი) 24
გ. ჩიტაიშვილი — სიტყვა თუ საქმე? (იგავი) . 26
ახალი წიგნები 26
ჯადოსნური სარკე 27
საინტერესო თემაზე 27
ბუნების კარი 30
ჭადრაკი 30
გამოგადგები 32
ცხრაკლიტული... გარეკანის 3

გარეკანის 1-ლ გვერდზე — „ოცნება“, მხატვარი გივი თევზაძე.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, ჟურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-94-88 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-94-87 93-53-05 განყოფილებების—93-94-29

„ПИОНЕРИ“. На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, ул. Ленина. 14.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. ფე 00609 ტირ. 105.000. პირ. ფორ. რაოდ. 4¹/₂, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 13/I-69 წ. სტამბის შეკვ. 4519.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში შცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახუმარო გამოცანები

1

ორმა მამამ და ორმა შვილმა საუზმეზე სამი კვერცხი მიირთვა, ყოველ მათგანს თითო კვერცხი ერგო. როგორ ახსნით ამას?

2

ერთ კაცს ექვსი ვაჟიშვილი ჰყავს. ყოველ ვაჟიშვილს ჰყავს ერთი და, სულ რამდენი შვილი ჰყოლია იმ კაცს?

მათემატიკური რებუსი

ამ მათემატიკურ რებუსში ერთი და იგივე ნიშნებში იგულისხმება ერთი და იგივე ციფრები. ამოხსენით ეს რებუსი ისე, რომ შეასრულოთ ყველა არითმეტიკული მოქმედება (მიმატება, გამოკლება, გაყოფა და გამრავლება).

△●△▲: △◆= ▲■
− × +
□◑□+ □○=□□▲

◇△○−◆◇◑=◆●○

თავსატეხი

პატარა გივის და დაეკარგა. დაეხმარეთ მოძებნაში.

თავსატეხი

აქ თორმეტი ნახატია. ერთ წუთს დააკვირდით მას, მერე დახურეთ ჟურნალი და სცადეთ ეს ნახატები იმავე თანმიმდევრობით გადაიტანოთ ქაღალდზე. თორმეტი სურათიდან, თუ რვას მაინც ზუსტად გამოიცნობთ, კარგი მახსოვრობა გქონიათ.



აბა, სცადე!

დახედეთ ნახაზს. სცადეთ ერთი რგოლი ისე გადაადგილოთ რომ ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად რგოლების რაოდენობა თანაბარი იყოს.



სპორტსმენები

მოძებნეთ ამ ნახატზე შტანგისტის, ფეხბურთელის და სხვა სპორტსმენებ ი ს ფიგურები. სულ რამდენია?



№ 1-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

ვერტიკალურად: 1. სკომბერი; 2. მარნეული; 5. ლიბია; 6. გრიპი; 7. სინჯარა; 9. ვარშავა; 10. ალდანი; 11. ენგური; 15. დევდორაკი; 16. კუიბიშევი; 18. ტაილერი; 21. სიო; 22. ჩაი; 27. მადრიდი; 28. ვისბიუ; 31. ბალი; 32. ასპინძა; 35. ნახიმოვი; 36. ვორონინი; 37. კაკაო; 39. არენა; 40. იგი.

ჰორიზონტალურად: 3. იაკი; 4. იავა; 8. კილიმანჯარო; 12. ინგლისი; 13. „პიონერი"; 14. ურალი; 17. ირანი; 19. კრივი; 20. კავაზაშვილი; 23. „ელისო"; 24. სოლ; 25. ბია; 26. ისანი; 29. ჭიათურა; 30. ამება; 33. კალია; 34. ყარსი; 38. ჰანოი; 41. სიცილია; 42. რანგუნი; 43. კალიმანტანი; 44. იხვი; 45. ინდი.

ულაჯიანი ბიჭი.

ჩაქურიანი მამაკაცი.
(გურია)

ქალი ქართული კაბითა და
ქათიბით.

ქალი ხევსურულ
ტანსაცმელში.

მამაკაცი ნაგდით, ქაბალახ
და ფაფანაკით.

ოზიანი მამაკაცი.
(იმერეთი)

ჩაქურიანი მამაკაცი.
(აჭარა).

ქალი ქართული კაბითა და
თავხურვით.

ქართველი თავადის
ჩაცმულობა.

მეგრელი მამაკაცის
ჩაცმულობა